# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 15 დეკემბერი, 2010 წელი.

№233 (6599)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## მოსკოვის ქუჩებში რუსული ნაციონალიზმი ბობოქრობს

④



## საქართველო სანამ ნატოში „იბრძოლებდეს“, ჯერ ნატოსთვის იბრძვის

⑧

## რატომ დაჯდა ერთი კილომეტრი გზის მშენებლობა მილიონი დოლარი?

②

## ბიუჯეტი გაურკვევლობის „ოქროს მტვრის“ ნისლშია

⑤

## როცა ქალაქში გამათხოვრებული ქალაქი დადის

⑤





გადავარჩინოთ მოქვის სახარება

700 685

⑦

## როგორ გადავარჩინოთ მოქვის სახარება!

## ვისაც ფლეთჩერისნაირები მოგწონთ, ღმერთმა გიმრავლოთ ოჯახში,

ანუ რას იწყევლებოდა ლუბა ელიაშვილი ეკა ხოფერიას საავტორო გადაცემაში

③



## ამომავალი მზის ქვეყნიდან წეროები მოფრინდნენ...

⑥






## იულია ლატინინა: ჩემი მამული ტერაქტებს აწყობს

②

## პოლიტიკური თავისუფლებები ბევრ ქვეყანაში უარესდება

③




⑧

## თეირანსა და ვაშინგტონს შორის გამომწყვდეული კავკასია

ანალიზი

# რატომ დაჯდა ერთი კილომეტრი გზის მშენებლობა მილიონი დოლარი?

**საქართველოში 200 მილიონდოლარიანი გზა არსებობს და ის ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთის 222 კილომეტრს შეადგენს. გზის მშენებლობით საქართველოს მთავრობა ძალიან ამაყობს, მას მართლაც არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ დიდი პოლიტიკური დატვირთვაც აქვს, მაგრამ რა სირთულეები ახლდა ამ გრძელმონაკვეთიანი სატრანსპორტო მაგისტრალის მშენებლობას, ამაზე ქვემოთ გიამბობთ.**

გუშინ სასტუმრო „ბლუ-ივერიაში“ „ეკონომიკური კვლევის ცენტრმა“ და „ღია საზოგადოება – საქართველომ“ ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის მეხუთე ეტაპის ანგარიში წარმოადგინეს.




შეგახსენებთ, რომ 2005 წლის 12 სექტემბერს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, „ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტი“. პროექტი ოფიციალურად 2006 წელს ამოქმედდა და იგი 295,3 მილიონი დოლარის დახმარების გამოყოფას ითვალისწინებდა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ თავდაპირველ კომპაქტში ცვლილება შევიდა და ამ თანხას 100 მილიონი დოლარი დაემატა. პროექტი 2011 წლის 7 აპრილს დასრულდება.

ამ კომპაქტში თანხის ყველაზე დიდი წილი სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტს ეკუთვნის, რომელმაც 212 მილიონ 615 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, ნაცვლად თავდაპირველ ვარიანტში გათვალისწინებული 100 მილიონი დოლარისა.

ყველაზე სწრაფად და სრულყოფილად დასრულდა ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, რომელიც 45 მილიონი აშშ დოლარი დაჯდა, რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარებას 54 მილიონი დასჭირდა, საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდს – 32 მილიონი, ხოლო აგროზიზნესის განვითარებას – 20 მილიონი. ეს ციფრები იმით არის საინტერესო, რომ სამცხე-ჯავახეთის გზის მშენებლობაში ზარალმა 30 მილიონი დოლარი შეადგინა, ანუ დაახლოებით იმდენივე, რაც მთლიანად რეგიონული განვითარებისთვის გამოიყო, მხოლოდ იმის გამო, რომ პროექტის თავდაპირველი ვარიანტი არასწორად იყო გათვლილი, მთავრობამ სანდო კონტრაქტორები ვერ გამოძებნა, ამ ყველაფერმა კი მშენებლობის ვადების გახანგრძლივება და ფინანსური ზარალი გამოიწვია.

„ათასწლეულის გამოწვევის“ პროგრამის მონიტორინგის ხელმძღვანელმა **ნინო ევგენიძემ** აღნიშნა, რომ **„მართალია, სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაცია დასასრულს მიუახლოვდა, მაგრამ ეს იმის დამსახურებაა, რომ პროექტში გამოჩენილი ყველა არსებული რესურსის მობილიზება ძირითადად სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტში არსებული პრობლემების გადასაჭრელად მოხდა. 2008 წლის შემდეგ გამოყოფილი 100 მილიონი ლარიც მთლიანად ამ გზისთვის დაიხარჯა, ნაცვლად 60 მილიონისა, რომელიც თავიდან დაგეგმა დონორმა ორგანიზაციამ“.**

თანხები ეტაპობრივად იზრდებოდა, სამაგიეროდ, შემცირდა სარეაბილიტაციო გზის მანძილი, რომელიც 245 კილომეტრი უნდა ყოფილიყო.

სამცხე-ჯავახეთის რეაბილიტაციის პროექტის გადაულახავ პრობლემად კომპანია „აუტრომ ინთერნეიშენელი“ იქცა, რომელმაც ყველა პირობა დაარღვია. მონიტორინგის შედეგები თავიდანვე ცხადყოფდა ამ კომპანიის არაეფექტიანობას, მაგრამ მთავრობამ 2010 წლის დასაწყისამდე ქმედითი ზომები მის წინააღმდეგ არ გაატარა. ბოლოს კომპანიას კონტრაქტი მაინც გაუუქმეს, 8 მილიონი ლარითაც დააჯარიმეს, მაგრამ, გაფუჭებულ საქმეს უკვე აღარაფერი ეშველებოდა. დაიხარჯა დიდი თანხები და გაიფლანგა დრო, რომელიც პროექტის საწინააღმდეგოდ მუშაობდა.

„ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის“ ფარგლებში სულ 286 პროექტი დაფინანსდა. გათვალისწინებული თანხის 93 პროცენტი უკვე ათვისებულია. ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მხოლოდ ერთ პროექტს ჩამოაჭრეს 19, 320 აშშ დოლარი.

როგორც აღვნიშნეთ, „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა“ უკვე დასასრულ ეტაპზეა, იგი გაზაფხულზე დამთავრდება. მონიტორინგის შედეგად გამოჩნდა, რომ პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა პროექტის მართვის გამოცდილების არქონა და პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე დაშვებული შეცდომები იყო. შეცდომები დაუშვეს პროექტის მართვის ყველა ეტაპზე. ეს განსაკუთრებით შეეხება სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტს, რომელმაც მთელი პროექტის დიზაინის ცვლილება გამოიწვია.

როგორც ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ დირექტორი **ქეთი ხუციშვილი** ამბობს: **„პროექტის ზედამხედველობა არ იყო მარტივი პროცესი. ეს იყო სამწლიანი რთული პერიოდი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც არაერთი სერიოზული კამათის მიზეზი გახდა“.**

ეს ყველაფერი იმითაც არის საინტერესო, რომ „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ უკვე გამოაქვეყნა 2011 წელს დახმარების პოტენციური მიმღები ქვეყნების ორი ჯგუფის სია: დაბალი შემოსავლებისა და საშუალოდ დაბალი შემოსავლებისა, რომელსაც საქართველოც მიეკუთვნება. ამის გარდა, მთლიანი ეროვნული შემოსავალი უნდა შეადგენდეს 1000-4000 დოლარამდე. საქართველოს ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე 2,530 დოლარია. ამ მხრივ საქართველო იმავე ჯგუფშია, რომელშიც ანგოლა, სომხეთი, ბუტანი, ეკვადორი, გვატემალა, იორდანია, პარაგვაი, თურქმენეთი, უკრაინა, სულ 29 ქვეყანა. ასეთი კრიტერიუმის პირობებში საქართველოს კარგი პერსპექტივა აქვს „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსებულ ქვეყნებს შორის კვლავ მოხვდეს. თუმცა დღემდე არ არსებობს ქვეყნისთვის კომპაქტის მეორედ მიღების პრაქტიკა.

**გაუჩნდება თუ არა აშშ-ს ჩვენი ქვეყნისთვის ფინანსური დახმარების სურვილი, ძნელი სათქმელია; ამაზე ამერიკაშიც სდუმან. მონიტორინგი აჩვენებს, რომ არცთუ სახარბიელო შედეგები გვაქვს. თანაც სავალდებულო კრიტერიუმთა შორის შემდეგი აუცილებელი მოთხოვნებიცაა: ქვეყანა მნიშვნელოვან ნაბიჯებს უნდა დგამდეს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის, კანონის უზენაესობის დამკვიდრების, პოლიტიკური უფლებების, მთავრობის ეფექტიანობის ზრდისა და კორუფციის კონტროლისკენ. საინტერესოა, რომელი კუთხიდან შემოხედავან ჩვენი ქვეყნის პორტრეტს ამერიკელი პარტნიორები...**

თეა მოსია

გამოხმაურება

# იულია ლატინინა: ჩემი მამული ტერაქტებს აწყობს

**ცნობილი რუსი ჟურნალისტი, რადიო „ეხო მოსკვის“ მიმომხილველი იულია ლატინინა საქართველოში განხორციელებულ ტერაქტებს ეხმიანება და სტატიას სათაურით „ჩემი მამული ტერაქტებს აწყობს“ აქვეყნებს.**

ლატინინა სექტემბერ-ნოემბრის ტერაქტების საქმეს დეტალურად მიმოიხილავს, ვრცლად საუბრობს ტერაქტებთან რუსეთის კავშირებზე და სკანდალურ საიტ „Wikileaks“-ის ის მასალებიც მოჰყავს, რომელშიც ტერაქტების საქმეს ელჩები ეხმიანებიან.

**„ძვირფასო მკითხველებო! მინდა, გააცნობიეროთ, რომ ჩემი სამშობლო, ჩემი მამული, ჩემი რუსეთი ტერაქტებს ახორციელებს, ისევე, როგორც ბინ ლადენი, შენდერო მინოსო, ირლანდიური რესპუბლიკური არმია და ის ადამიანები, რომლებიც ფსიქიკურად შეურაცხადები არიან და თვლიან, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა ლეგიტიმური სამიზნეა“,** – წერს ლატინინა.



შეგახსენებთ, რომ ქართველმა სამართალდამცველებმა მიმდინარე წლის სექტემბერ-ნოემბერში საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ტერორისტული აქტების სერიის ორგანიზებაში ბრალდებული რამდენიმე პირი დააკავეს. ტერაქტების უშუალო შემსრულებელი ყოფილი სამხედრო მოსამსახურე გოგიტა არქანია აღმოჩნდა, დანაშაულის თანამონაწილეები – გოდერძი არქანია და ლელა ხურცილავა, ასევე ასაფეთქებელი ნივთიერებების შემნახველ-გადამზიდავები ჯონი აბულაძე, მარიამ ნიკოლავა და გოჩა ხურცილავა, რომელიც მძღოლის ფუნქციას ასრულებდა.

ამავდროულად ძებნა გამოცხადდა სხვა ეჭვმიტანილებზე, რომლებიც, შს სამინისტროს ინფორმაციით, ამჟამად გალის რაიონში იმყოფებიან. იძებნებიან, კერძოდ, აფეთქებების ორგანიზატორები და შემსრულებლები მერაბ ყოლბაია, მეტსახელად „კოჭოია“ და მუხრან ცხადაია, რომელიც 2003 წლიდან ადამიანის გატაცებისთვის ძებნაში იყო გამოცხადებული.

საქმის მასალების მიხედვით, გოგიტა არქანიამ და მერაბ ყოლბაიამ მიმდინარე წლის 28 ნოემბერს აფეთქება თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩის №88-ში, ლეიბორისტული პარტიის ცენტრალურ ოფისთან განახორციელეს, რის შედეგადაც ადგილობრივი მცხოვრები ნინო გორდეზიანი დაიღუპა. ამავე პირებმა მიმდინარე წლის 28 ნოემბერს აფეთქება მუხიანის პირველ მიკრორაიონში, ნონეშვილის №13-ში მდებარე სუპერმარკეტთან განახორციელეს, 21 ოქტომბერს თბილისის რკინიგზის სადგურთან 2 აფეთქება მოაწყვეს, 2 ოქტომბერს ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდთან სარკინიგზო ხიდის აფეთქება სცადეს, 22 სექტემბერს კი აფეთქება თბილისში, აშშ-ის საელჩოს სიახლოვეს განახორციელეს.

შს სამინისტრომ არქანიასა და ყოლბაიას თანამზრახველ ჯონი აბულაძის სახლში 13 ერთეული ასაფეთქებელი მოწყობილობა, მათ შორის ჰექსოგენით სავსე 9 ქილა აღმოაჩინა, რომელთაგან 4-ში ლურსმნები იყო გარეული, ხოლო ერთში – ტყვიის გულები.

საერთო ჯამში ამოღებულია 10 კგ. ასაფეთქებელი ნივთიერება ჰექსოგენი.

რაც შეეხება ყველა ამ დანაშაულის დამკვეთს, იგი რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის მაიორი ევგენი ბორისოვი აღმოჩნდა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომამდე კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსი „სამშვიდობოების“ რიგებში მსახურობდა, ხოლო ამჟამად აფხაზეთში განლაგებულ საოკუპაციო ჯარს ხელმძღვანელობს.

„პირველი“

შეხვედრა

# ჩაკვეტაძის საქმის გამო უფლებადამცველები დახმარებას დიპლომატებს სთხოვენ

## დაკავებული ფორუმელის ბედი ხვალ გადაწყდება

**გუშინ „თავისუფალი აზრის სახლში“ უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების შეკრება გაიმართა. მიზეზი ორი თვის წინათ ლილოს ბაზრობაზე დაკავებული ეროვნული ფორუმის წევრის ზაზა ჩაკვეტაძის საქმე გახლდათ, რომელიც, როგორც უფლებადამცველები ამტკიცებენ, მხოლოდ პოლიტიკური მიზეზით დააკავეს. შეხვედრას ესწრებოდნენ ზაზა ჩაკვეტაძის ადვოკატები, ეროვნული ფორუმის ლიდერები, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.**

**კახა შარტავას განცხადებით, „ზაზა ჩაკვეტაძე ხელისუფლების მძევალია, ამიტომ სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ამ ფაქტის ირგვლივ ობიექტური ინფორმაციის მიწოდება ძალზე მნიშვნელოვანია“.**

ზაზა ჩაკვეტაძის ადვოკატების მტკიცებით, მისი ბრალეულობა უსაფუძვლოა: 2010 წლის 21 ოქტომბერს „ლილოს“ ბაზრობის ტერიტორიაზე მოვაჭრეები მშვიდობიან საპროტესტო აქციას მართავდნენ. მათ „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენლები შეუერთდნენ. ბაზრობა არ იყო დაკეტილი ან დალუქული, ამიტომ ნებისმიერს შეეძლო თავისუფალი გადაადგილება. ამის მიუხედავად, სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული პოლიციელები გადაადგილებაში ხელს უშლიდნენ აქციის მონაწილეებს, რის გამოც ინციდენტი მოხდა. ადვოკატების თქმით, სამოქალაქო ფორმიანმა პირებმა შეურაცხყოფა მიაყენეს ზაზა ჩაკვეტაძეს. „კავკასიის“, „მაესტროსა“ და „Itv“-ის მიერ გავრცელებული ვიდეომასალიდან ნათლად ჩანს, რომ ჩაკვეტაძე მათ წინააღმდეგობას არ უწევდა, პირიქით, მიწაზე დაგდებულს რამდენიმე ადამიანი უმოწყალოდ სცემდა. ინციდენტი მხოლოდ მას შემდეგ ამოიწურა, როცა სამართალდამცავები ჩაერივნენ. ჩაკვეტაძე პოლიციის თანამშრომელთა მოთხოვნისთანავე, წინააღმდეგობის გარეშე ჩაჯდა პოლიციის მანქანაში. აღსანიშნავია ისიც, რომ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს არ განუმარტავთ მისთვის, რომ აკავებდნენ. 20 საათის განმავლობაში არც ჩაკვეტაძის ოჯახის წევრებმა და არც ფორუმელებმა არ იცოდნენ დაკავებულის ადგილსამყოფელის შესახებ, არც სამართალდამცავი სტრუქტურიდან იღებდნენ შესაბამის პასუხს.



ადვოკატები ამბობენ, რომ ზაზა ჩაკვეტაძის მიმართ წაყენებული ბრალდებები არ დასტურდება, თითქოს მან წინააღმდეგობა გაუწია საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებს. მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს გამოტანილი გადაწყვეტილება მხოლოდ პოლიტიკურია და ის განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო ისჯება.

**შეხვედრაზე მყოფმა არასამთავრობოებმა მიმართვის ტექსტი მიიღეს. მათ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს სთხოვეს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლონ ჩაკვეტაძის საქმე და ზედამხედველობა გაუწიონ სასამართლო პროცესს, რათა არ მოხდეს მორიგი უკანონო გადაწყვეტილების მიღება.**

**ზაზა ჩაკვეტაძის სასამართლო პროცესი ხვალ უნდა გაიმართოს.**

ნია ფიფია

ფიქრები ტელეეკრანთან

# ვისაც ფლეთჩერის მაგვარნი მოსწონს, ღმერთმა უმრავლოს თავის ოჯახში!

## რას იწყევლებოდა ლუბა ელიაშვილი ეკა ხოფერიას საავტორო გადაცემაში?



**იმ ეკა ხოფერიასი, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ანუ მაშინ, როდესაც „რუსთავი-2“ თავისუფალი, მართალი სიტყვის ფლაგმანად ითვლებოდა, სრულიად დამსახურებულად სარგებლობდა საზოგადოებაში პატივისცემითა და სიყვარულით. მას შემდეგ კი, რაც „რუსთავი-2“ საკუთარ ხალხზე გამარჯვებული ხელისუფლების ტელევიზიად იქცა, ეკა ხოფერიას რეიტინგმაც სტაბილურად იწყო ვარდნა და მისი ავტორიტეტიც ამჟამად იმ ე. წ. საზოგადოებრივი მაუწყებლის ავტორიტეტის ტოლია, სადაც ახლა მუშაობს...**

სწორედ თავის საავტორო გადაცემაში კიდევ ერთხელ „გაიბრწყინა“ ეკა ხოფერიამ გასულ ორშაბათს, რომელი გადაცემის თემაც ავადსახსენებელი თომას ფლეთჩერი და, აქედან გამომდინარე, ზოგადი თემა იყო — უნდა ჰქონდეთ თუ არა პედერასტებს პედაგოგიური მოღვაწეობის უფლება.

გადაცემის სტუმრებიც შესაბამისად ჰყავდათ შერჩეული — ბაია ამაშუკელი, რომელიც პრაქტიკულად არ ალაპარაკეს და რისი თქმაც მოახერხა, ისიც „დაუჩეხეს“, ზვიად ძიძიგური და დიმიტრი ლორთქიფანიძე, რომლებიც ცნობილნი არიან შეურიგებელი პოზიციით ე. წ. არატრადიციული სექსუალური უმცირესობის მიმართ, რაც კიდევ ერთხელ დაამტკიცეს იმ საღამოს, როცა საკადრისი პასუხი გასცეს პედერასტებს თუ მათ აპოლოგეტ დამცველებს.



ამ „აპოლოგეტთა“ მარაქაში აღმოჩნდა ლუბა ელიაშვილიც, რომელსაც, ეტყობა, ისე ენატრება ტელეეთერი, რომ მზად არის, სტუდიაში მიწვევის სანაცვლოდ „ჰუმანური“ მოსაზრებებით პედერასტებიც კი დაიცვას.

**„შენს შვილს ჩოხაში რომ ზრდი, რას იზამ, ერთხელაც რომ გაიგო, პედერასტიაო?“** — ეს კითხვა დაუსვა მან ზვიად ძიძიგურს, რომელმაც არც აცია, არც აცხელა და — რას იწყევლები, ქალო, რაღა ჩემი, შენი შვილი იყოს პედერასტიო! — უპასუხა...

ამინ, ზვიად ჩემო, ამინ!.. ამასვე ვუსურვებ ყველას, ვისაც იმ საღამოს „ინკლუზივის“ შეფის და საქართველოში „პეტუხების“ დაცვის მეზაირახტრის პაატა საბელაშვილის ან ვიღაც ქორეოგრაფი ჰომოსექსუალისტის (იგი უთუოდ იმისთვის მიიწვიეს გადაცემაში, რომ ეჩვენებინათ, აი, თუ არ შეიძლება პედერასტის მასწავლებლად მუშაობაო! — **დ. მ.**ძ ლერის მიმართ თანაგრძნობა გაუჩნდათ.

საერთოდ კი ეკა ხოფერიას მიერ არჩეული თემა თითქოს უწყინარ დებატებს გულისხმობდა თომას ფლეთჩერის თუ ზოგადად სექსუალურ უმცირესობათა ირგვლივ, მაგრამ, როგორც იტყვიან, მაგას ჩვენში არავინ ჭამს, რადგანაც ის, რაც ვიხილეთ, პრაქტიკულად პედერასტობის, სექტანტობის შეფარული წახალისება-პროპაგანდა იყო.

თუმცა რაღა შეფარული? — პირდაპირ დარბაზის ცენტრში, შემაღლებულზე არ დაგვისვეს პაატა საბელაშვილი, რომელიც ჭკუას გვარიგებდა შეუგნებელ, ჩამორჩენილ, კაცთმოძულე ქართველებს?!

**დავით მხეიძე**

მოსაზრება

# პოლიტიკურ თავისუფლებებთან დაკავშირებული მდგომარეობა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უარესდება

**დემოკრატიული რეცესია, — ამ სათაურით აქვეყნებს გავლენიანი ამერიკული გაზეთი The Wall Street Journal სარედაქციო სტატიას, რომელშიც ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პოლიტიკურ თავისუფლებებთან დაკავშირებული მდგომარეობა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უარესდება.**

**„დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც მსოფლიოს დემოკრატიზაციის ტალღამ გადაუარა, რომელიც სხვადასხვაფრად — ნარინჯისფრად (უკრაინა), ვარდისფრად (საქართველო) და ა.შ. — ლივლივებდა. დღეს კი ყველაფერი დასრულდა“,** — ნათქვამია სტატიაში და ავტორები ამის ერთ-ერთ მიზეზად აშშ-ს მხრიდან ყურადღების არარსებობას ასახელებენ. **„მსოფლიოში დემოკრატიის რეცესიაა, მიუხედავად იმისა, აქცევს თუ არა ამას ვინმე ყურადღებას. ხომ არ შეიძლება ამის ერთ-ერთი მიზეზი აშშ-ს მხრიდან ყურადღების არარსებობა იყოს?“**

სტატიის ავტორებს მაგალითად მოჰყავთ ნოემბერში ბირმელი გენერლების მიერ საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაყალბება და ასევე ეგვიპტის თანამედროვე „ფარაონი“ ჰოსნი მუბარაქის მიერ არჩევნების შედეგების გაყალბება.

**„ეს ცალკეული, თუმცა ერთი ტენდენციის ამსახველი შემთხვევებია. დემოკრატიისგან უკანდახევა მოხდა რუსეთში, ტაილანდსა და ვენესუელაში. ამ მხრივ წინსვლა იყო ერაყში, ლიბანსა და თურქეთში, მაგრამ დღეს ახლო აღმოსავლეთში მოვლენები სხვაგვარად ვითარდება და ლიბანის მთავრობა იძულებულია, ავტორიტარულ სირიასა და ჰესბოლას თავი დაუხაროს. Freedom House-ის უფლებადამცველები აღნიშნავენ, რომ უკვე მეოთხე წელია, რაც იზრდება იმ ქვეყნების რიცხვი, სადაც პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლებები სულ უფრო იზღუდება, და არა პირიქით“,** — ნათქვამია სტატიაში.

სტატიის ავტორები აღნიშნავენ, რომ ამის მიზეზი რთულ ეკონომიკურ პერიოდთან ერთად ის არის, რომ ზოგიერთმა ავტორიტარულმა ლიდერმა ეკონომიკური დესტაბილიზაციით ისარგებლა და პოპულისტური გზებით საკუთარი პოლიტიკური ძალაუფლება განამტკიცა. ნავთობზე მაღალმა ფასებმა კი ვენესუელაში უგო ჩავესის, ხოლო რუსეთში ვლადიმერ პუტინის პოზიციები გააძლიერა.

**„მაგრამ აქ თავისი როლი იმანაც ითამაშა, რომ დღეს ამერიკა ამ პრობლემის მიმართ ნაკლებ ინტერესს იჩენს და თავად ნაკლებად მისაბაძი მაგალითია“,** — ნათქვამია სტატიაში და ავტორები იხსენებენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდს, როდესაც ავტორიტარიზმი ყვაოდა.



**„მაგრამ 1980-იან წლებში დემოკრატიზაციის ტალღა დაიწყო, რადგან აშშ რონალდ რეიგანის ხელმძღვანელობით მაგალითი გახდა, რომლის მიბაძვა ბევრმა მოინდომა. ეს ტენდენცია 1990-იან წლებშიც გაგრძელდა, და შემდგომი ათწლეულის დასაწყისშიც; დღეს მსოფლიოში არჩევნების დემოკრატიული სისტემა 116 ქვეყანას აქვს, ოცი წლის წინათ ასეთი 76 ქვეყანა იყო. გარკვეული დროის განმავლობაში, უმცროს ჯორჯ ბუშს დემოკრატიისთვის ბრძოლა საკუთარი პროგრამის საფირმო ნიშნად მიაჩნდა, რის გამოც ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. მაგრამ მეორე საპრეზიდენტო ვადის დროს მისი „თავისუფლებისთვის ბრძოლა“ დამუხრუჭდა ერაყის და პალესტინის არჩევნებში ჰამასის გამარჯვების შემდეგ, ასევე პრაგმატული პოლიტიკის გამო, რაც ბუშმა ჩრდილოეთ კორეასთან და ირანთან მიმართებაში გააკეთა“,** — აღნიშნავენ ავტორები.

**„2008 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს პრეზიდენტმა ობამამ საერთოდ უარი თქვა დემოკრატიისთვის ბრძოლაზე, დაუჯერა რა ლიბერალებს, რომ აშშ-ს მორალური სახე შელახულია (გუანტანამო, „წამებები“) და მას არ აქვს უფლება, საკუთარი ფასეულობები ვინმეს თავს მოახვიოს. ამერიკელი ექსპერტები დემოკრატიისადმი რწმენის ამ დაკარგვას ექოსავით გამოეხმაურნენ, განაცხადეს რა, რომ ცუდი არ იქნება, თუკი ამერიკა ჩინეთად გარდაიქმნება — თუნდაც ერთი დღით, რათა შესაძლებელი გახდეს კონსტიტუციის აბეზარი შეზღუდვებისთვის თავის არიდება და საკუთარი დირიჟისტული (!) ოცნებების განხორციელება. მოსკოვში, პეკინში, იანგონსა და სხვა დედაქალაქებში ეს გაგებულ იქნა, როგორც ის, რომ აშშ აღარ მიისწრაფვის დემოკრატიის დამკვიდრებისკენ მთელს მსოფლიოში. ამ თემაზე ობამას წელს რამდენიმე კარგი გამოსვლა ჰქონდა, თუმცა მისი სიტყვები პოლიტიკაზე არ ასახულა“,** — ნათქვამია სტატიაში.

სტატიის დასასრულს ავტორები აღნიშნავენ, რომ ამერიკული საზოგადოება იმდენადაა დაკავებული საშინაო საქმეებით, რომ არ აქვს სურვილი დემოკრატიული ღირებულებები იქადაგოს.

**„მაგრამ დემოკრატიული ქვეყნები მაინც უკეთესი მოკავშირეები არიან, ავტორიტარულები კი მეტ გლობალურ პრობლემებს ქმნიან, მსოფლიო დემოკრატიული რეცესია აშშ-სთვის საზიანოა, ხოლო აშშ-ს პრეზიდენტმა და მისმა სახელმწიფო მდივანმა უნდა ეძებონ გზები, რომ ეს პროცესი როგორმე უკან დააბრუნონ“,** — აღნიშნულია სტატიაში.

ჯი-ეიჩ-ენი

ინფორმაცია

## რითი დაეხმარებიან კოოპერატიული ბინათმშენებლობის შეწყვეტით დაზარალებულებს?

**თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატები“ ინციატივით გამოდიან.**

**ინიციატივა ე.წ. კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო დავალიანების დაფარვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებას გულისხმობს.**

**როგორც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ჟაბა სამუშიამ საკრებულოში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, „ქრისტიან-დემოკრატები“ წერილით მიმართავენ თბილისის მერს გიგი უგულავას.**

**— კოოპერატიული ბინათმშენებლობის შეწყვეტით დაზარალებულ ადამიანებს უნდა გადაეცეთ შესაბამისი ნაკვეთი, საცხოვრებელი ფართი ან ზარალი აუნაზღაურდეთ ფულადი კომპენსაციის სახით, — განაცხადა სამუშიამ.**

**მისივე თქმით, თბილისის მერს თავაზობენ, რომ შეიქმნას მერიისა და საკრებულოს ერთობლივი დროებითი კომისია, რომელიც მონიტორინგს გაუწევს აღნიშნულ საკითხს.**

**ბრიფინგი კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულებთან ერთად გაიმართა.**

**მათი თხოვნის პასუხად უმრავლესობის წარმომადგენელმა საკრებულოში კოკი იონათამიშვილმა განაცხადა, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობის შესახებ საკითხის განხილვა მიმდინარეობს.**

## მეწარმეებს არ მოუწევთ ახალი სალარო აპარატების შეძენა

**ახალი სალარო აპარატების შეძენა მეწარმეებს არ მოუწევთ და მის ღირებულებას სახელმწიფო დააფინანსებს.**

**ამის შესახებ მთავრობის გუშინდელი სხდომის დაწყების წინ ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა განაცხადა. ამასთან ჟურნალისტებთან საუბრისას მინისტრმა კიდევ ერთხელ განმარტა ის დადებითი პროცესები, რომელიც ახალი სალარო აპარატების შემოღებას მოჰყვება.**

**— აქამდე სალარო აპარატების კონტროლისას დამოკიდებული ვიყავით საგადასახადო ინსპექტორებზე და ამ მიზნით ყოველდღიურად სამი ათასამდე ინსპექტორს უწევდა მუშაობა. ეს იმით იყო განპირობებული, რომ ავტომატიზებული სისტემა არ გვქონდა, რაც დასავლეთში აპრობირებულია. სწორედ ამის გამო გადაწყდა ახალი სისტემის აპარატების შემოღება, რითაც საგადასახადო ორგანო უწყების შესაბამის ცენტრალურ ოფისთან იქნება დაკავშირებული და ყველა „ამორტყმულ“ ჩეკზე ინფორმაცია ავტომატურად მიეწოდება, — განმარტა ფინანსთა მინისტრმა.**

## დასუფთავების მოსაკრებლის ზედა ზღვარი აღარ გაუქმდება

**როგორც იურიდიულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა განმარტა, კანონპროექტში გარკვეული ცვლილებები შევიდა და საკანონმდებლო ინიციატივას ახალი რედაქციით 15 დეკემბერს პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე მეორე მოსმენით წარმოადგენენ.**

**— კანონით დადგინდება მოსაკრებლის ზედა ზღვარი და მის ფარგლებში შეუძლია მიიღოს საკრებულომ გადაწყვეტილება რამდენი უნდა იყოს დასუფთავების მოსაკრებელი. ამის გათვალისწინებით მეორე მოსმენაზე მთავრობის მხრიდან დაფიქსირდება რამდენით განისაზღვრება დასუფთავების მოსაკრებელზე ზედა ზღვარი, — აღნიშნა კუბლაშვილმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

ვითარება









# რუსეთი დღეს იმ სტადიაში შედის, რომელიც საქართველომ 90-იან წლებში გაიარა



***მოსკოვის ქუჩებში რუსული ნაციონალიზმის მიზეზებსა და იმაზე, სავარაუდოდ, როგორ განვითარდება პოლიტიკური პროცესები რუსეთში, „ინტერპრესნიუსი“ მოსკოვში მცხოვრებ ქართველ მკვლევარს, პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატ ავთანდილ წულაძეს ესაუბრა.***

**— ბატონო ავთანდილ, უკანასკნელ პერიოდში რუსეთში ნაციონალისტები გააქტიურდნენ. ყველაფერი თითქოს ფეხბურთის მოყვარულთა დაპირისპირებით დაიწყო, მაგრამ შემდეგ ყველაზე პოპულარული ლოზუნგი გახდა — „რუსეთი რუსეთისთვის“. თქვენი აზრით, რა ხდება რუსეთში?**

— რაც დღეს რუსეთში ხდება, მთავრობის პოლიტიკის შედეგია. პუტინის პროექტი 1999 წელს დაიწყო და მისი მთავარი საფუძველი იყო პოპულიზმი. იმ პერიოდში პუტინმა ოპოზიციას, ჟირინოვსკის, ნაციონალისტებს და სხვებს რაც კი რუსეთში პოპულარული ლოზუნგები იყო და ოპოზიციისთვის ქულები მოჰქონდა, წაართვა და ამ ლოზუნგებით წარმართა მთელი თავისი საარჩევნო კამპანია. ყველა ეს ლოზუნგი პუტინის რიტორიკის შემადგენელი ნაწილი გახდა.

თუ პუტინის გამონათქვამებს გააანალიზებთ, დარწმუნდებით, რომ იგი ნაციონალისტურ აზრებს ხშირად ახმოვანებს. ის ნაციონალისტებისგან განსხვავებით ლოზუნგს „რუსეთი რუსებისთვის“ პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ ამ თემაზე მისი მსჯელობის შინაარსი და ინტონაცია ექსტრემისტული ხასიათისაა. მთავარი ისაა, რომ რუსეთში ეს ლოზუნგები პოპულარულია. რუსეთი დღეს იმ სტადიაში შედის, რომელიც საქართველომ 90-იან წლებში გაიარა. ჩემი აზრით, მაშინ საქართველოში პრიმიტიული ნაციონალიზმი იყო. საქართველომ ეს ეტაპი გასული საუკუნის 90-იან წლებში გაიარა, ხოლო რუსეთში ეს ხანა ახლა იწყება. საქართველოში ნაციონალიზმი ოფიციალურ რიტორიკაში ჟღერდა, ხოლო რუსეთში ნაციონალისტურმა ლოზუნგებმა საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილში იმძლავრა. ამას ხელი შეუწყო ეკონომიკურმა კრიზისმა, უმუშევრობის, სიღარიბისა და უქონლობის ზრდამ.

თუ ეკონომიკური კრიზისი გაგრძელდა და უკეთესობის პერსპექტივები არ გამოიკვეთა, რუსეთში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბება. თუ ადრე შესაძლებელი იყო ყველაფრის ცივილიზებული ნაციონალიზმის ფარგლებში „დაჭერა“, ახლა ეს უკვე ქუჩაში გამოვიდა და მკვეთრად გამოხატული ფორმა მიიღო.

**— გემახსოვრებათ, ამას წინათ, მეჩეთის მშენებლობაზე ნებართვის მიღებასთან დაკავშირებულმა ისტორიამ მოსკოვში საზოგადოების აზრის როგორი პოლარიზება და რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება გამოიწვია. როგორც იტყვიან, „ჯინი გამოშვებულია“, მაგრამ ეს მრავალეროვანი რუსეთისთვის ძალიან სახიფათო არ არის?**

— რა თქმა უნდა. საბჭოთა კავშირის დანგრევა სწორედ ნაციონალურმა საკითხმა გამოიწვია. თუ რუსეთში ნაციონალიზმის ალზევების ტენდენცია გაგრძელდა, რუსეთი ისევე დაინგრევა, როგორც თავის დროზე საბჭოთა კავშირი.

**— თქვენი აზრით, მოსკოვის ქუჩებში ნაციონალისტური ტალღის მძვინვარება ხელისუფლების მიერ მართულია თუ არა? და კიდევ, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსკოვის ქუჩებში დაწყებული არეულობა მედვედევ-პუტინის ღია თუ ფარული დაპირისპირების გამოძახილი იყოს?**

— ამ მოძრაობის ფენომენი სწორედ ისაა, რომ ვითარება კონტროლს აღარ ექვემდებარება. ხელისუფლებას არავითარი მოძრაობა — არც ნაციონალისტური და არც დემოკრატიული — ქვევიდან ხელს არ აძლევთ. ხელისუფლებას უნდა, რომ მორჩილი და პრეტენზიების არმქონე საზოგადოება ჰყავდეს. ის, რაც ახლა რუსეთში ხდება, რუსეთის ლიდერების მხრიდან რეიტინგის ასამაღლებლად ნაციონალისტური და ქსენოფობიური მოძრაობებისთვის კოჭის გაგორების შედეგია. ეს არ არის მედვედევსა და პუტინს შორის ღია თუ ფარული დაპირისპირების გაგრძელება. ხელისუფლება ნაციონალისტებს კოჭს უგორებდა, ახლა საქმე ძალიან გართულებულია და როგორც იტყვიან რუსეთის ხელისუფლებამ „კატა გამოთხარა“. როცა პუტინი პიანინოზე უკრავს, „ფორმულა ერთით“ სეირნობს, ამით იგი ცდილობს, ხალხს ყოველდღიური პრობლემები დაავიწყოს და ვირტუალურ სივრცეში ამყოფოს.

**— ცოტა ხნის წინათ კრემლთან დაახლოებულმა პოლიტოლოგმა ლეონიდ რაძიხოვსკიმ გამოთქვა მოსაზრება, რომ რუსეთში დემოკრატიული არჩევნების ჩატარება იმ მოტივით არ შეიძლება, რომ ხელისუფლებაში ნაციონალ-ფაშისტები მოვლენ. რამდენად სავარაუდოა, რომ ტანდემიდან ერთ-ერთს, სავარაუდოდ უფრო პუტინს, სწორედ ამ ტალღაზე სურს ხელმეორედ გაპრეზიდენტება?**

— რასაც რაძიხოვსკი ამბობს, არის კრემლის ძველი მითი, რომლითაც მოსკოვი ერთი მხრივ ქვეყნის გარეთ დასავლეთს, ხოლო მეორე მხრივ, ქვეყნის შიგნით ლიბერალებს აშინებს. დასავლეთი კრემლის მიმართ დამთბობ პოლიტიკას ატარებს, რეალურ პრობლემებზე თვალს ხუჭავს და რუსეთთან ურთიერთობა სხვა განზომილებაზე გადაჰყავს. მხედველობაში მაქვს ავღანეთის საკითხში თანამშრომლობა და ასე შემდეგ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დასავლეთს ამ მითის სჯერა. ანუ, საუბარია იმაზე, რომ რუსეთში დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შემთხვევაში ხალხი დიქტატორს და სტალინის მსგავს ლიდერს აირჩევს. კრემლის ასეთი ქცევა თავის გამართლების მცდელობას და გებელსური პროპაგანდის გაგრძელებას ემსგავსება.

**— როგორ ფიქრობთ, მაინც რა სცენარით შეიძლება განვითარდეს პროცესები რუსეთში?**

— თუ რუსეთში ნაციონალისტური ტალღა გაძლიერდა, პუტინის გუნდს ექნება საბაბი, საუბარი დაიწყოს სახელმწიფოსა და ე.წ. ვერტიკალის კიდევ უფრო გაძლიერებაზე და ჭანჭიკების მოჭერაზე. მაგრამ საქმე ისაა, რომ არჩევნებამდე ჯერ ძალიან დიდი დროა. ამ ვითარებაში არსებითი ისაა, რომ კრიზისი ღრმავდება. საზოგადოების ქვედა ფენებს არ სჯერათ არც მედვედევის და არც პუტინის. ხალხს არც ერთი იმ პროექტის არ სჯერა, რომელიც ამ ორივე პოლიტიკურ ფიგურას და მათივე პოლიტიკურ პროექტებს უკავშირდება. საუბარია პუტინის ავტორიტარულ და მედვედევის თითქოს ლიბერალურ პროექტებზე.

გახსოვთ, „დათა თუთაშხიაში“ სეთურის ზეზო ჭაში რომ ზის და „იმედს“ ქმნის... რუსულ საზოგადოებას აღარაფრის იმედი აღარ აქვს და მიწის თხრას არ აპირებს. ხალხმა ხელისუფლებას ზურგი აქცია, ახლა რუსეთისთვის სიტუაციის ქვევიდან არევა ძალიან სახიფათოა. რუსეთში დაწყებული პროცესები ხელისუფლებისთვის მოულოდნელი გამოწვევაა. აშკარაა, რომ ხელისუფლება ამ გამოწვევისთვის მზად არ არის.

**— იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლება დუმს, ბლოგერობის მოყვარულმა პრეზიდენტმა მედვედევმა მოსკოვში მომხდართან დაკავშირებით განცხადება არა ტელევიზიით, არამედ ინტერნეტით გაავრცელა. თქვენი აზრით, რუსეთის ხელისუფლება დაბნეულია, პროცესების მიშვების გზას დაადგა, თუ არც იცის რა რეაქცია მისცეს ნაციონალიზმის ქუჩაში გადმონთხევას?**

— ჩემი აზრით, ხელისუფლება დაბნეულია და არ ელოდა ნაციონალიზმის ტალღის ქუჩაში აგორებას. კრემლში სჯერათ, რომ ქვეყანა ტელევიზორით იმართება და რადგან ტელევიზორი მათ ხელშია, ჰგონიათ, რასაც ისინი ხალხს ტელევიზიით აჩვენებენ, ხალხს ამის სჯერა. მოსკოვის ქუჩებში განვითარებულმა პროცესებმა ცხადყო, რომ ეს ასე დიდი ხანია აღარ არის.

**— რამდენად სავარაუდოა რუსეთში იმ ტიპის სამოქალაქო დაპირისპირება, როგორიც ამ ქვეყნის ისტორიაში არაერთხელ ყოფილა?**

— რამის პროგნოზირება იმიტომ ჭირს, რომ ვითარება სულ უფრო გაურკვეველი და უმართავი ხდება. ასეთ დროს ბევრია დამოკიდებული შემთხვევით ფაქტორებზე. ჯერ კი ისიც გაუგებარი და გაურკვეველია, საიდან რა შეიძლება გამოხტეს. არ გამოვრიცხავ ნაციონალურ რესპუბლიკებში, კავკასიაში და იმავე სათათრეთში ვითარების გამწვავებას. ეს, შესაძლოა, ის დამატებითი ფაქტორი აღმოჩნდეს, რომელიც ვითარებას სწორედ რომ ნაციონალურ საფუძველზე დაძაბავს. რუსეთი დაახლოებით ისეთ სტადიაში შედის, როგორც გასული საუკუნის 90-იან წლებში იყო. 90-იან წლებში ერთი დღითაც კი შეუძლებელი იყო რამის პროგნოზირება. ვითარების გამწვავების შემთხვევაში რუსეთის ყველა პოლიტიკური მოთამაშეები იძულებული იქნებიან იმოქმედონ არა გრძელვადიანი სტრატეგიითა და გეგმებით, არამედ სიტუაციის შესაბამისად.

**— ხომ არ უკავშირდება მოსკოვის ქუჩებში აქციების დაწყება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის სავარაუდო გაწევრებას?**

— არ მგონია. ცხადია, პუტინის დაჯგუფებას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრება არავითარ შემთხვევაში არ სურს. მედვედევს პირიქით, და ამაში მას ობამა ეხმარება. არ გამოვრიცხავ, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია ამ საკითხში საქართველოზე ზეწოლას ახორციელებდეს. ჩემი აზრით, საქართველომ ამ საკითხში თავისი თამაში უნდა ითამაშოს. თუ საქართველო ვმო-ში რუსეთის გაწევრებას დაბლოკავს, შესაძლებელია, თბილისმა სანაცვლოდ პუტინს რაღაც გამოსტყუოს.

**კობა ბენდელიანი**








◉ სახელმწიფო ბიუჯეტი

# ოქროს მტვრის ნისლში



***ცოტა ხნის წინათ ეკონომიკური საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, სახელმწიფო ბიუჯეტის თემაზე საუბრისას, ეკონომიკის დოქტორმა თეიმურაზ მურღულიამ ერთი საგულისხმო ამბავი მოყვა: ევროპის ერთ-ერთ ქვეყნის პარლამენტში იგი თურმე მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვას დასწრებია და გაოცებული დარჩენილა, როცა კანონპროექტის გაწერილ მუხლებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია სხდომათა დარბაზში... ურიკით შემოუგორებიათ, თავად კანონპროექტი კი მცირე მოცულობის ბროშურაღა ყოფილა. ეს ამბავი ბატონმა მურღულიამ იმასთან დაკავშირებით გაიხსენა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის უკლებლივ ყველა მუხლი კონკრეტულად უნდა იყოს გაწერილი, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მუხლთა აბსოლუტური უმრავლესობა კი გაურკვევლობის „ოქროს მტვრის ნისლშია“ გახვეული, რაც ფინანსთა სამინისტროსა და მთავრობას სახსრების გაუკონტროლებლად ხარჯვის შესაძლებლობას აძლევს.***

ამერიკული ორგანიზაციის „ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის“ მიერ ჩატარებული გამოკვლევით, რომელმაც აღნიშნული საკითხი მსოფლიოს 34 ქვეყანაში შეისწავლა, **საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს, გამჭვირვალობისა და შესრულების ანგარიშვალდებულების მაჩვენებლებით, მაქსიმალური 100 ქულიდან მხოლოდ 55 ქულა „ერგო“.** ამ ქულებით საქართველო, მართალია, უსწრებს ცენტრალური აზიისა და ზოგიერთი სხვა მსგავსი რეგიონის ქვეყნების საშუალო დონეს, მაგრამ მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს. ამასთან, წლეულს მესამედ ჩატარებული გამოკვლევით დადგინდა, რომ **94 ქვეყნის მთავრობიდან 74, მათ შორის საქართველოს მთავრობაც, პარლამენტს ბიუჯეტის ანალიზისთვის საჭირო ამომწურავ ინფორმაციას არ აწვდის.** აქვე იმასაც ვიტყვით, რომ **აღნიშნული გამოკვლევის შედეგების თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის მაკონტროლებელი ორგანოები, კერძოდ, პარლამენტი და კონტროლის პალატა, „საშუალო სიძლიერის ინსტიტუტებად“ არიან მოხსენიებულნი.**

მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით პარლამენტში, სადაც მასში შესატანი ცვლილებების განხილვა ცოტა ხნის წინათ გაიმართა, ფინანსთა სამინისტროს ძირითადად იმას საყვედურობდნენ, რომ სახელმწიფოსთვის ეს უმნიშვნელოვანესი ფინანსური დოკუმენტი უკიდურესად ბუნდოვანია, რომელშიც სათანადოდ გაწერილი არ არის კონკრეტული სფეროების ის მიმართულებები, რომლებსაც დაფინანსება ეზრდებათ, თანაც, „ქამრების მოჭერის“ პროპაგანდისტული ხმაურის ფონზე, მატულობს როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციათა რიცხვი, ასევე სახელმწიფო მოხელეთა ხელფასები.

ბოლო მონაცემებით, **2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 97 მილიონი ლარით გაიზრდება და 7 მილიარდ 88,2 მილიონ ლარს შეადგენს, ხოლო მისი დეფიციტი 4,3 პროცენტი იქნება,** რომელიც წლევანდელ ანალოგიურ მაჩვენებელზე 2 პროცენტით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბიუჯეტო დაფინანსება გაისად 8 მილიონი ლარით გაიზრდება და 60 მილიონ ლარს გადააჭარბებს, **რომელთაგან უმეტესი ნაწილი საქონლისა და მომსახურების შეძენაზე დაიხარჯება.** ამასთან, როგორც უკვე ვწერდით, **სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში არანაირად არ არის ასახული გაისად ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე გასატანი ევროობლიგაციების განთავსებით მისაღები ნახევარი მილიარდი დოლარის შემოსავალი.** ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ფონზე, როცა 20 პროცენტით იზრდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხარჯი, თუმცა მთლიანი თანხის (971,32 მილიონი ლარი) ლომის წილს (700 მილიონ ლარს!) დონორების მიერ გამოყოფილი სახსრები შეადგენს. ასევე მნიშვნელოვანია გაისად საჯარო და სამოქალაქო რეესტრების ეროვნული სააგენტოების არაფინანსური აქტივების ზრდის (შესაბამისად, 10 და 17 მილონი ლარით) საბიუჯეტო დაფინანსება. ეს კი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმას ნიშნავს, რომ **საყოველთაო ეკონომიის პირობებში ორივე სამსახური საკუთარი მატერიალური რესურსების გაზრდას გეგმავს.**

ყველაზე მეტი ოდენობის სახსრები – 1,6 მილიარდი ლარი – ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებზეა გამოყოფილი, რა თანხის თითქმის 95 პროცენტი სოცუზრუნველყოფაზეა გაანგარიშებული, რაც იმას ნიშნავს, ჯანდაცვის ისედაც შეკვეცილი სახელმწიფო პროგრამები კიდევ უფრო მეტად შემცირდება. ამასთან, სახელმწიფო სამედიცინო უზრუნველყოფის გარეშე სწორედ რომ სოციალურად დაუცველი ხალხი დარჩება. სამჯერ (7,5 მილიონ ლარამდე) გაიზრდება ენერგეტიკის სამინისტროს ხარჯი, თუმცა ესეც, ძირითადად, დონორთა ხარჯზე მოხდება.

ახლა ორიოდე სიტყვა 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იმ მუხლების თაობაზე, რომელთა დაფინანსება მცირდება: დაიკლებს საგზაო ინფრასტრუქტურაზე (100 მილიონი ლარით) გასაწევი ხარჯები, სადაც ამავდროულად გაიზრდება უწყების აპარატის შენახვის ხარჯი; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბიუჯეტი ორზე მეტჯერ მოიკლებს. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ზოგჯერ საქმე პარადოქსამდე მიდის: იმ დროს, როცა **პარლამენტში აცხადებენ, რომ სახელმწიფო მოხელეთა ხელფასის ზრდა გაისად გათვალისწინებული არ არის, ეკონომიკის სამინისტრო აპარატის თანამშრომელთა რიცხოვნობა 13 პროცენტით შემცირდება, ხელფასის ფონდი კი მხოლოდ 4 პროცენტით მოიკლებს (?!).**

ხაზი იმასაც გვინდა გავუსვათ, რომ 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ხელფასის ფონდი მთლიანი ხარჯის 65 პროცენტზე მეტს შეადგენს. 22 მილიონი ლარით დაიკლებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხების სამინისტროს ბიუჯეტი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო კი გაისად დაახლოებით მეოთხედით ნაკლებ სახსრებს მიიღებს.

**გაისად საერთოდ არ დაფინანსდება „იაფი კრედიტის“ სახელმწიფო პროგრამა, პედაგოგთა დაზღვევა და ეს მაშინ, როდესაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთოდ არ არის გათვალისწინებული 2011 წლის ევროობლიგაციების ემისიისგან მისაღები შემოსავალი.**

მოკლედ, შეუსაბამობები და ხარვეზები მომავალი წლის ბიუჯეტში მრავლად არის, თუმცა ისინი არც წინა წლების ამ უმნიშვნელოვანეს საფინანსო დოკუმენტებს აკლდა, მაგრამ თუკი ოდესღაც თავი უნდა დავაღწიოთ იმ გაუსაძლის მდგომარეობას, რომელშიც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობაა, ხელისუფლებამ ეტაპობრივად მაინც უნდა გაითვალისწინოს ის შენიშვნები, რომლებსაც მას როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო მაღალი დონის ეკონომიკური ორგანიზაციები აწვდიან.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ ტკივილი

# მათხოვარი ვარ, მათხოვარი!

**ეკრანზე ვიღაც ლამაზად „მოპირკეთებული“ ლამაზმანები კეკლუცობდნენ. ბევრი არაფერი, ერთს სახეზე კანი გადაეჭიმა და ამიტომ გამოიყურებოდა, თურმე, ასე „პრეკრასნად“! მეორეს ტუჩები დაებერა და „ძალიან გიხდებაო“ „კომპლიმენტობდა“ მესამე, რომელსაც მხოლოდ მკერდი ჰქონდა დაბუშტული სილიკონით!..**

და მთელი ორი საათის განმავლობაში იმაზე უყვებოდნენ ტელემაყურებლებს (ქალებს...), თუ რაოდენ მოსახერხებელი და ადვილია ამის გაკეთება სულ რაღაც, ოთხას თუ, ხუთას ლარად. იყო სიცილი და ტკარცალი და ამ მხიარულ ქალბატონებს ფეხებზე ეკიდათ ყველაფერი, გარდა თავიანთი სიკეკლუცისა. მართალია, ერთ-ერთ მათგანს სამი ქმარი უკვე გამოეცვალა, მეორეს – ორი, მესამეს – ოთხი, მაგრამ მათი გაბრწყინებული სახეები ამბობდნენ სათქმელს, – თუ ჭკუა არ დაუშლიდათ უბედურება არ იქნებოდა კიდევ რამდენჯერმე გათხოვილიყვნენ!.. არ არსებობდა სინანული და თავი მოსწონდათ თავიანთი „გენდერული თანასწორობით“!..

...მეტი არაფერი ჰქონდა საზრუნავი ამ ტელეარხს!

ტელევიზორი გამოვრთე და ქუჩაში გამოვედი, იქნებ აქ შევხვედროდი იმ ქალბატონთაგან ერთ-ერთს მაინც, რომ უფრო იაფად „დაგვებერა“ დასაბერი...

ქუჩაში ხალხი ირეოდა. ვიღაცა ედავებოდა ვიღაცას.

– რა მოხდა, ბიჭო?.. ახალგაზრდა კაცია და გაივლის ბოზებში, აბა, რა იქნება?.. თუ ახლა არ გაიჯეჯილა, ვინ იცის, როდის გადააყენებენ და ექნება მერე, ამისი საშუალება?..

– შენცა ხარ, რა!.. ვინაა მაგისი გადამყენებელი?.. თუმცა, მე და შენ, რომ გაგვეკეთებინა ასე, დაგვიჭერდნენ ალბათ!.. ყველაფერი არ ეპატიება ადამიანს. მით უმეტეს ამხელა თანამდებობის კაცს, რომლისკენ მიპყრობილია ათასი თვალი და ყური... მაგის მოქმედება ქვეყნის პრესტიჟია და, მით უფრო, პასუხსაგები!..

– ეჰ, პასუხსაგები კი არა!.. ფეხებზე ჰკიდია მაგას ეგ!.. დადის, დაფრინავს, საკუთარ ხუშტურზე ატრიალებს ქვეყანას და თვალებში ნაცარს გვაყრის, მსოფლიოში ჩვენ ვართ, ყველაზე აყვავებულიო, ჩვენთან დადიანო ყველაზე მაძღარი ადამიანები, ცხოვრების დონე არნახულად გაიზარდა, თურმე და... ათასი სისულელე!

...არ ვიცი ვისზე ლაპარაკობდნენ (ვითომ, ვითომ!..), მაგრამ არ შევყოვნებულვარ მათთან, გვერდზე ჩავუარე და ჩემი გზა გავაგრძელე.

მიწისქვეშეთი გადავჭერი. ჩასასვლელთან აღმართულიყო გაკოპწიავებული სომხური ეკლესია. ეზოში მოდიოდნენ მორწმუნეები. იქვე, ახლოს, ამაყად იდგა პრეზიდენტის რეზიდენცია!

ხუთიოდე ნაბიჯით ჩავლრმავლი მიწისქვეშა გადასასვლელის კიბეებზე და... საფეხურებზე ჭუჭყიანი ლეიბ-ბალიში გაეშალა ვიღაცას! უფრო ქვევით კი, კედელთან მიკუჭულიყო ასევე ძონძებში გახვეული არსება. კიდევ ცოტა ქვევით, მეორესაც გაეშალა ასეთივე ძონძები! ვერ შევძელი თვალი გამესწორებინა მათთვის და გვერდზე მივბრუნდი. გასასვლელის ბოლოს, კიდევ ერთი „ქალბატონი“ სიგარეტს ყიდდა. გულმა ვერ მომითმინა და ამ ქალბატონს ვკითხე:

– ვინ არიან ეს, თქვენი მეზობლები, ქალბატონო?

– ვინ არიან და... უპატრონოები არიან!.. ესენი აქ ცხოვრობენ და ასე მათხოვრობენ, ბატონო!..

– როგორ თუ აქ ცხოვრობენ?.. პატრონი არა ჰყავთ?

– ეჰ, სადაა პატრონი, ბატონო!.. პატრონები რომ გვყავდეს, არც მე უნდა ვიდგე აქ მათხოვარივით!..

შევბრუნდი. იმ „ძონძებს“ მცირედი „ვერცხლი“ ჩავუყარე მუჭაში და ღვინის დაღმართით ჩავუყევი ბილიკს სიონისკენ.

სიონში უფალს შევსთხოვე შველა!

აქედან ისევ მიწისქვეშეთით გავედი „რუსთაველზე“, იქნებ, თავისუფლად გამევლო თავისუფლების მოედნიდან ჩვენი აყვავებული დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე.

მიწისქვეშა გასასვლელის ბოლოს კედელს „მიხუტებოდა“ კიდევ ერთი უპატრონო... ეტყობოდა ადამიანი იყო!..

... შავი „ჯიპები“ მოადგნენ „მერიოტს“. გადმოვიდნენ გალაღებული ქართველები და უცხო ტომელთ შეუძღვნენ ალაყაფში.



რუსთაველზე ძველი „ნაცნობები“ მხვდებოდნენ ყოველ ნაბიჯზე.

მიცნეს! ადრეც ვწერდი მათზე, მაგრამ... ვინ წაიკითხა! – მე და ჩემმა მეგობარმა ექსპერიმენტი ჩავატარეთ მაშინ, – „რუსთაველის“ მეტროდან „თავისუფლების“ მოედნამდე შემხვედრ ყოველ მათხოვარს ოც-ოც თეთრს ვაძლევდით... 17 ლარი „დაგვიჯდა“ ეს „ექსპერიმენტი“!

მას შემდეგ მცნობენ „ციგნის“ ბავშვები!

...კოსტავას ქუჩაზე ნასვამი ბიჭები მოდიოდნენ. უცბად, ერთ-ერთი წაბორძიკდა და ქალის განწირული კივილი მომესმა.

– რა ფეხებქვეშ გაწოლილხარ ამ შუა გზაზე. შენი! – მიაყოლა ნაბახუსევმა და წიხლი უთავაზა ტროტუარზე დაგდებულს.

ვერ მოვითმინე და წავლაპარკდით მე და ის ლოთი... ვერ გაუძლეს „არიფებმა“ შემოტევას და კუდამოძუებულნი გაერიდნენ იქაურობას. ტროტუარზე „დაგდებულს“ კი, ტანი ვერ აეთრია და გამვლელებს ეხვეწებოდა.

– ფეხები არ მივარგა შვილებო!.. იქნებ კედლისკ;ენ გამაჩოჩოთ, ცოტა!..

გავაჩოჩეთ.

– თქვენ გაიხარეთ... მადლობა შვილებო! – ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდიოდა დაუბანელ ლოყაზე.

– სად ცხოვრობ, ქალბატონო, იქნებ შინ წაგიყვანოთ?

– სად ვცხოვრობ... აი, აქ არი ჩემი სახლი!.. – ქუჩისკენ გაიშვირა ხელი!

– ვინ მომაშავა სახლი და სადგომი... რაც მქონდა ისიც წამართვეს, ვინც მყავდა ისინიც დამეხოცნენ, შვილო!.. მათხოვარი ვარ შვილო, მათხოვარი!

...ხაროზდა თბილისი, აყვავებული თბილისი და მე მიკვირდა ასე რამ აა-ყვავა ჩემი დედაქალაქი!

სახლში მისული ტელევიზორთან დავეგდე. „ვანოს შოუში“ საკუთარი უნიჭო იუმორით სიცილით კვდებოდა ვანო!

გადავრთე ეს „მასხარა“ ყუთი და საპატრიარქოს არხმა გამიწია თანადგომა, თორემ, არ ვიცი, მეორე დღეს როგორ შევხედავდი თვალებში ჩემს გამათხოვრებულ დედა-ქალაქს!

**ზაალ ფილფანი**

## ინფორმაცია

### „შეიარაღებაზე იმდენ ფულს ვხარჯავთ, დასახელებაც კი მეშინია“

**რუსეთი 2020 წლამდე შეიარაღებაზე 20 ტრილიონ რუბლს დახარჯავს, ეს პროგრამა 2020 წლამდეა გათვლილი. ეს განცხადება რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა გააკეთა. მისივე თქმით ამ თანხიდან დაახლოებით 5 ტრილიონი რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების კომპლექსურ გადაიარაღებაზე წავა.**

**— ეს ძალიან დიდი თანხაა, მეშინია კიდეც ამ ციფრის დასახელება. თუმცა ეს თანხა გათვლილია, თავდაცვის მინისტრმა და გენშტაბის ხელმძღვანელმა შეძლეს და დაადასტურეს ამ თანხის საჭიროების აუცილებლობა, — განაცხადა პუტინმა სხდომაზე, რომელიც შეიარაღების სახელმწიფო პროგრამის განხილვას ეხებოდა.**

**პუტინის თქმით, შეიარაღების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2011 -2020 წლებში გათვალისწინებულია 1 300 ერთეულზე მეტი სხვადასხვა სახის ტექნიკის და შეიარაღების შესყიდვა.**

**პუტინის თქმით, რუსეთს სჭირდება რეკეტები და სხვა საგნები, რომლებიც მეტალისგანაა დამზადებული. მისივე განცხადებით, უკვე 2015 წლისათვის რუსულ არმიაში თანამედროვე შეიარაღების წვლილი 30 % მდე უნდა გაიზარდოს, მხოლოდ 2020 წლისათვის 70 %-მდე.**

### ბორისი და ჰამარბერგი ერთმანეთს მოსკოვში შეხვდნენ

**ოს სეპარატისტთა ლიდერის ე.წ. რწმუნებული პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ბორის ჩოჩიევი და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარი თომას ჰამარბერგი ერთმანეთს მოსკოვში შეხვდნენ.**

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, შეხვედრაზე უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების, როგორც ქართველების ისე ოსების საკითხი განიხილებოდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

## პროფესიის პრესტიჟი




# ამომავალი მზის ქვეყნიდან წეროები მოფრინდნენ...

ამ ორიოდე თვის წინათ სასიამოვნოდ გამაოცა პაატა ნაცვლიშვილის მასტერ-კლასის — გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის 20-21 წლის სტუდენტების ორიგინალურმა ჟურნალმა „ობოობამ“. საკუთარი შთაბეჭდილება მაშინ ოპერატიულად დავბეჭდე „საქართველოს რესპუბლიკაში“, რადგანაც ჩემი უმცროსი კოლეგა, — ნორმიდან ამოვარდნილი ტალანტი, თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი რეფორმატორი (რედაქტორი, გამომცემელი, პოეტი, მხატვარი, მოგზაური, რეპორტიორი...ძ — პაატა ნაცვლიშვილი ბავშვივით მოსაფერებელი კაცია, დამსახურებისამებრ თუ დროულად არ მოეფერები, დაჰკრავს ფეხს და ან მთაში გადაგვეკარგება, ან რომელიმე უცხო ქვეყანაში გაგვიფრინდება... თანაც, თვითმფრინავით კი არა — ქაღალდის წეროთი...

არ გეგონოთ წერო ნებისმიერ ცათამფრენზე ნაკლები იყოს. პაატას „ქაღალდის წეროები“ (წიგნებიძ სიამოვნებით შემოისვამენ ფრთებზე საკუთარ პატრონს და მთვარისკენ გააქანებენ... მერე, როგორც სავსე მთვარე ანათებს დედამიწას, წეროები ზეციდან ჩამოიტანენ პაატას წერილების სხივებს და მკითხველთა გულებს გაათბობენ...

პაატა ნაცვლიშვილი წერს ყველგან — საკუთარ უნიკალურ ბიბლიოზეუმში, საკუთარ გამომცემლობაში, საკუთარ რედაქციაში, მატარებელში, მანქანის თუ თვითმფრინავის სალონში, წეროს ფრთებზე...

წერს სადად, უბრალოდ, ლაღად.

ამომავალი მზის ქვეყანა — იაპონია იქცა პაატა ნაცვლიშვილის „ნამდვილი ქაღალდის წეროს“ ახალ სამშობლოდ. შუა ასაკის კაცმა (მაშასადამე, დიდი შემოქმედებისთვის სრულიად ახალგაზრდამძ პაატა ნაცვლიშვილმა იაპონური შთაბეჭდილებანი, ავტორისავე ლექსებითურთ და ფოტოებითურთ, ულამაზეს წიგნში მოაქცია და „თიბისი“ გალერეაში გულწრფელ ლოცვა-კუთრხევაზე წარმოგვიდგინა.



ყური მიადე ნიჟარას იაპონურს: შავი ზღვა ღელავს

სწორედ ეს წიგნი გახდა ჩემი ამაღლებული განწყობის, სიხარულის, მეგობარი ჟურნალისტის მორიგი დიდი გამარჯვების საფუძველთა საფუძველი. არ გეგონოთ რაიმეს ვაჭარბებდე, ეს წიგნი არის ორი ქვეყნის ურთიერთნდობის, ურთიერთსიყვარულის, კულტურული და დიპლომატიური დაახლოების სერიოზული გზამკვლევი.

იაპონია და საქართველო...

საქართველო და იაპონია...

რამდენი რამ ჰქონია ამ ორ ქვეყანას საერთო, რამდენი რამე უნდა ვისწავლოთ იაპონელებისგან, იაპონელებმა — საქართველოსგან. რა მშვენიერება იმალება იაპონურ ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რა მიმზიდველია იაპონელებისთვის ქართული ფოლკლორი, კინო და თეატრი, სამურაებისთვის — ქართველი რაინდები...

ზემოთ ლექსები ვახსენე. წიგნის ერთი ნაწილი ეთმობა პაატა ნაცვლიშვილის გადაღებულ ფოტოებს და... ტანკებს — ტრადიციული იაპონური პოეზიის პაატასეულ ნიმუშებს. იაპონური ფოტოჩანახატების ორიგინალურ წარწერებად მოხმობილი ეს სტრიქონები ისე ავსებენ ავტორის სათქმელს, როგორც წიგნის გარეკანზე მიჯრით მიწყობილი ქაღალდის წეროები...

კრებულის განყოფილება — „ძალიან იაპონური“ მოგვითხრობს საკურას, იკებანას, კიმონოს, უკიო-ეს, ორიგამის, ჩანო-იუს, საკეს, კარაოკეს, მანგა და ანიმეს შესახებ.

...თუ გინდათ იცოდეთ რას ნიშნავს ყოველივე ეს, და კიდევ ბევრი რამ იაპონური, აუცილებლად წაიკითხეთ პაატას წიგნი, რომელიც გულდინჯად გაგახსენებთ ჩვენი დიდებული პოეტის მორის ფოცხიშვილის პაწია, იაპონური ტანკების მსგავს ლექსს: **„ბალახმა — ლოდი, წყარომ მიწა, სიმღერამ გული ამოანგრია, ამოხეთქა უხილავ ძალით, რომელსაც შენი სახელი ერქვა — პოეზია!“**

პაატა ნაცვლიშვილის საუკეთესო რეპორტაჟების, ნარკვევების, ინტერვიუების და ბოლოს — იაპონური ეფემერების „არაჩვეულებრივი გამოფენით“ დამშვენებული ეს ოთხასგვერდიანი კრებული გულიდან ამოხეთქილი ხილული ძალაა, რომელსაც ავტორის „ნამდვილი ქაღალდის წერო“ — ჟურნალისტის ცინცხალი ნიჭი ჰქვია.

**დიდი მადლობა იაპონიის საელჩოს საქართველოში, სხვა ორგანიზატორებს და კერძო პირებს, რომლებმაც უზრუნველყვეს ასეთი სრულყოფილი წიგნის გამოცემა...**

სპარტაკ ქობულია

## წერილი რედაქციას

# ნუ ავურევთ ერთმანეთში ცნებებსა და მცნებებს,

## ანუ „კოაქსილი და „სტაბლონი“ „თიანეპტინის“ სინონიმებია

**მაპატიეთ შეწუხებისთვის, მაგრამ როგორც თქვენი გაზეთის ძველისძველმა ხელმომწერმა და მოყვარულმა ვერ დავიოკე აღშფოთება, როდესაც წავიკითხე თქვენი გაზეთის 9 დეკემბრის მეორე გვერდზე „ჯი-ეიჩ-ენის“ ინფორმაციის ავტორის უწიგნურობა და უკომპეტენტობა წამალთმცოდნეობაში, როდესაც სრულიად უვიცად შეჰყავთ შეცდომაში არა მარტო მკითხველები, არამედ პარლამენტარები.**

მეორე დღეს (10 დეკემბერსძ ტელევიზიით რამდენჯერმე დიქტორმაც და პარლამენტის წევრმაც გაიმეორა ის ლაფსუსი, თითქოს ანტიდეპრესანტ „თიანეპტინის“ შემცველი (??ძ მედიკამენტების ურეცეპტოდ გაყიდვა მომავალი წლიდან აიკრძალება“. თურმე 8 დეკემბერს ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომიტეტის (უნდა ვიგულისხმოთ, ალბათ, პარლამენტის სხდომისძ დაწყების წინ ჟურნალისტებთან საუბრისას კანონპროექტის ერთ-ერთმა ავტორმა ლაშა თორდიამ აღნიშნა „თიანეპტინის“ შემცველი მედიკამენტების(??ძ „კოაქსილის“ და „სტაბლონის“ გამოყენება „ხშირად არა სწორი მიზნებისათვის ხდება და მას, როგორც ნარკოტიკულ ნივთიერებას ისე იყენებენ და ა. შ. (სწორედ შესაშური ლიტერატურული ნიმუშია საკითხის სრულ უცოდინარობასთან ერთადძ.

სინამდვილეში საკითხი ეხება ანტიდეპრესანტ „თიანეპტინს“, რომელიც ბოლო 15 წლის განმავლობაში შემოდიოდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და დღესაც თავისუფლად, ურეცეპტოდ იყიდება რუსეთში, უკრაინაში და სხვა რესპუბლიკებში. ფრანგული ფარმაკოლოგიური ფირმის SERVIER-ის მიერ „კოაქსილის“ საფირმო სახელწოდებით გამოიყენებოდა უპირატესად ნევროზული რეგისტრის დეპრესიების სამკურნალოდ. ნარკომანებმა დაიწყეს მისი მიღება ბოლო ხანებში ისევე, როგორც კალიუმის პერმანგანიტის ნარკომანული აბსტინენციის შესასუსტებლად. ამის შესახებ ნარკოლოგებმა აღძრეს საკითხი მისი არა თუ ურეცეპტოდ, არამედ გაუქმდა მისი რეგისტრაცია საქართველოს სააფთიაქო ქსელში შემოტანის აკრძალვით და რატომ უნდა გადაიდოს მისი თუნდაც რეცეპტით გაყიდვა მომავალი წლისათვის? საინფორმაციო ინსტანციების პრესის მუშაკების, პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის იმ წევრების მიმართ, რომლებისთვისაც არც არის სავალდებულო ყველა მედიკამენტის და მათი სინონიმების ცოდნა, მაგრამ შესაბამის უწყებებს კი მოეთხოვებათ კანონმდებლობის შემუშავების დროს ისარგებლონ კომპეტენტური მრჩევლებით, რომელთაც ეცოდინებათ, რომ ეს მედიკამენტი არის ანტიდეპრესანტი „თიანეპტინი“, ხოლო „კოაქსილი“ და „სტაბლონი“ მისივე საფირმო სინონიმებია და არა „თიანეპტინის“ შემცველი პრეპარატები, როგორც ბატონმა პარლამენტარმა გვაუწყა. როგორც ჩანს ისიც შეიყვანეს შეცდომაში ინფორმაციის ავტორებმა.

არ შეიძლება არ მიექცეს ყურადღება აგრეთვე ზოგიერთი პრეტენზიის მქონე ჟურნალისტებისა და „სწავლულების“ გამოსვლებში ტელევიზიით, როდესაც ცნებას და მცნებას ერთმანეთის შემცვლელად ხმარობენ. ცხადია, ასეთი ლაფსუსები უფრო ხშირად ზეპირად გამოსვლისას უფრო ხშირად გვჭრის ყურს, თუმცა არც ასე მომრავლებული ჟურნალ-გაზეთებია ამ მხრივ დაზღვეული.

პატივისცემით

შოთა გამყრელიძე,
პროფესორი

## ინფორმაცია

### მესტიის საკურორტო ზონაში ობიექტების მშენებლობა წლის ბოლომდე დასრულდება

**პრეზიდენტის პრეს-სპიკერის მანანა მანჯგალაძის განცხადებით ადგილზე სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა გადასული.**

**„ნათქვამი იყო რომ რამდენიმე ობიექტი, რომლის მშენებლობაც პრეზიდენტის პატრონაჟით მიმდინარეობს, წელსვე დასრულდებოდა და ეს დაპირება სრულდება. მიმდინარე წლის განმავლობაში მესტიაში რამდენიმე ობიექტის მშენებლობა დასრულდება. ერთი სიტყვით, სვანეთი სურლიად ახალ ეტაპს იწყებს. საუბარია სამთო სათხილამურო კურორტის მოწყობაზე, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასა და აეროპორტის მშენებლობაზე, რომლის ასაფრენი ბილიკის მოწყობა უკვე დასრულებული“ — განმარტა პრეს-სპიკერმა.**

**ამასთან მან ანაკლიის ტურისტულ ზონასთან დაკავშირებითაც გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ „ანაკლიით ინვესტორების დაინტერესება დიდია“.**

ჯი-ეიჩ-ენი

**რარიტეტი**

# გადავარჩინოთ მოქვის სახარება!

**მოქვის სახელით ცნობილი ხელნაწერი დანიელ მოქველი მთავარეპისკოპოსის დაკვეთით ეფრემს 1300 წელს აფხაზეთში გადაუწერია. საწერ მასალად გამოყენებულია სპილოს ძვლისფერი ეტრატი.**

**ხელნაწერი XIII-XIV საუკუნეებისთვის უჩვეულო მინიატიურების სიუხვითაც გამოირჩევა. ხელნაწერის მხატვრული თავისებურება ფურცლოვან ოქროზე შესრულებული მინიატიურებია. სახარების მხატვრულ სახეს 155 მინიატიურა, 10 კამარა და 530-მდე საზედაო ასო და ინიციალი განსაზღვრავს, რაც პალეოლოგოსური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშია ქრისტიანულ ტრადიციულ კულტურაში.**

ამ დროისთვის მოქვის სახარება მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, ქართული დამწერლობის, მართლმადიდებლური რელიგიისა და კულტურის ამ უძვირფასესი ექსპონატს დაუყოვნებლივ ესაჭიროება რესტავრაცია.

მოქვის სახარების გადასარჩენად მარჯანიშვილის თეატრში უკვე გაიმართა საქველმოქმედო აქცია, რომლის ორგანიზატორები იყვნენ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოება, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა და მარჯანიშვილის თეატრი. აქციის მხარდამჭერები კი – თბილისის მერია და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

კონცერტში მონაწილეობდნენ ცნობილი მომღერლები: ლიზა ბაგრატიონი, თამარ ჭოხონელიძე, ეკა მამალაძე, გიორგი უშიკიშვილი. ანსამბლი „ლაშარი“, დათო არჩვაძე და თეატრალური კვარტეტი, ზუმბა, ნიაზ დიასამიძე, ნეკა სებისკვერაძე, სოფო ხალვაში, სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდი, ანსამბლები: „მართვე“, „ბასიანი“, აფხაზეთის ახალგაზრდული კაპელა და სხვ. გაყიდული ბილეთებიდან შემოსულმა თანხამ 5500 ლარი შეადგინა, რომელიც სრულად მოხმარდება მოქვის სახარების გადარჩენის მრავალწლიან და ძვირად ღირებულ პროექტს.




მარჯანიშვილის თეატრის ფოიეში სტუმრებს საშუალება ჰქონდათ შეეძინათ კალიგრაფების მიერ ქაღალდზე, მუყაოსა თუ კერამიკულ ნაწარმზე იქვე, საგანგებოდ შესრულებული სამახსოვრო წარწერები და მოქვის სახარების დეტალების ასლები. გაიყიდა, ასევე, საგანგებოდ ამ აქციისათვის დამზადებული სხვადასხვა სუვენირი.

აღსანიშნავია, რომ UNESCO უნიკალური მოქვის სახარების დიაგნოსტიკას დააფინანსებს.

საერთაშორისო ორგანიზაციამ დადებითად შეაფასა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პროექტი, რომელიც ეხება მოქვის სახარების დიაგნოსტიკას და დააფინანსა. გამოყოფილი თანხა 24 000 დოლარს შეადგენს.

ხელნაწერის დიაგნოსტიკის შემდეგ ცნობილი გახდება, თუ რა გზით უნდა მოხდეს სახარების რესტავრაცია, რომელიც მრავალწლიანი და ძვირად ღირებული პროექტია.

**ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი საზოგადოებას მოუწოდებს, აქტიურად ჩაერთოს მოქვის სახარების გადარჩენაში. მსურველებს შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 700 685, ზარის ღირებულებაა 1 ლარი.**

**ნატა ნიბლაძე**

**ახლახან გამოვიდა**

*ყველა თავისებურად ეცადა ქართველი ქალის მშვენიერებისა და სილამაზის, კდემამოსილებისა და ოჯახიშვილობის შექებას, არახალია ეს თემა, თუმცა ცნობილ იურისტსა და ლიტერატორს აბელ გეგიას, მაინც თავისებურად, ორიგინალურად, ახალი, უცნობი მასალების მოშველიებით შეუმკია ქართველ ქალთა „კრება“ თავის ახალგამოცემულ წიგნში – „ქართველი ქალი – ერის მშვენება და სიამაყე“.*

*ავტორი თხრობას იწყებს შორეული საუკუნეებიდან, ახასიათებს ქართველ ქალს, როგორც ერის დიდებას, ჯერ ახსენებს ღვთისმშობელ მარიამს, წმინდა ნინოს, მერე თამარ მეფეს აქებს, ქედს იხრის ქეთევან დედოფლის წინაშე და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, აგერ ჩვენს დღეებამდე შეუდარებელ ნანი ბრეგვაძემდე და ლიანა ისაკაძემდე ჩამოდის.*

*ჩაიკითხავთ წიგნს და კიდევ ერთხელ აღივსებით უდიდესი თაყვანისცემის გრძნობით ჩვენი ბებიების, დედების, დების, მეგობარი ქალბატონების მიმართ, რომლებიც ასე ამაგრებდნენ და დღესაც დედაბოძად უდგანან მრავალჭირთამთმენ ჩვენს ქვეყანას. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბატონ აბელ გეგიას წიგნში ბევრი ისეთი ფაქტია მოხმობილი, აქამდე, შეიძლება, ზოგზოგმა თუ იცოდა. მაგალითად, რამდენ რამეს გაიგებს მკითხველი, მეტადრე პოეზიის მოყვარული, მომცრო ჩანახატის წაკითხვით, რომელსაც „ელენე ბაქრაძე – ცისფერყანწელთა დედოფალი“ ჰქვია.*

*ვფიქრობთ, კარგი იქნება ჩვენი გაზეთის მკითხველებსაც გავაცნოთ ეს ჩანახატი.*

*მაშ, წაიკითხეთ.*

# სულის ამაჩქროლებელი...

## ელენე ბაქრაძე – ცისფერყანწელთა დედოფალი

უმშვენიერესი და ულამაზესი ქალიშვილი ელენე 15 წლისა გათხოვდა პაოლო იაშვილზე. პაოლოს და ელენეს თავდავიწყებით უყვარდათ ერთმანეთი. პაოლო წერდა: „ჩემო ელი! ჩემზე ჯვარდაწერილო, სასურველო ჩემო. ჩემი გული უშენობის გამო სევდიანად მოსთქვამს!“ მხოლოდ პაოლომ იცოდა, რომ ელენე მშვენიერ ლექსებს წერდა და მისი ლექსებით იხიბლებოდა. „შეყვარებულების ჭეშმარიტი განცდა ამასთან განცდაა წმინდა ქალური სტიქია“. ელენე და პაოლო ქუთაისში ხვდებოდნენ, საოცარ წერილებს სწერდნენ ერთმანეთს. ერთ ზაფხულს სავანეში შეხვდნენ, მწვანე მინდორზე გაშლილ სუფრას მთვარის ზღაპრული შუქი ლურჯად ადგა. პატარა თეთრი ყანწები პაოლომ აავსო და მაღლა ასწია. ცისფრად გამოისახა ჰაერში სასმისი. „ცისფერიყანწი“ – აღმოხდა ელის (ასე დაარქვა ელენეს პაოლომ). პაოლო დააკვირდა და წამოიძახა: – ყოჩაღ, ელი, ცისფერი ყანწები! ასე დაიბადა ცისფერყანწელთა ორდენი“, ჟურნალი „ცისფერიყანწები“ და პირველსავე ნომერში დაიბეჭდა ელის ლექსი – „იქ, სადაც სდუმან პირამიდები“.

**იქ, სადაც სდუმან პირამიდები,**
**მზის ქორწილის დროს მე**
**დავწვები მზისფერ**
**სილაზე,**
**იქ, სადაც სდუმან პირამიდები,**
**შენ მომინდები,**
**შენი თვალები, შენი**
**მკლავები, შენი სინაზე,**
**შენ მოგაფრენს ცხენი**
**არაბული,**
**თვალებდანაბული,**
**საყვარელ ხელებს მივეცემი,**
**როგორც ნაზ საწოლს,**
**და შენ დამკოცნი ვით**
**დედოფალს, ვით**
**მხევალს და ცოლს,**
**ტკბილი იქნება ცხელ**
**სილაზე ჩვენი თამაში,**
**მზიურებს მაშინ**
**არაფერი მოგვაგონდება...**
**პირამიდებში ატირდება**
**ლოდინით რაში.**
**ლურჯ სფინქსთან მივა,**
**უცქერს დიდხანს და**
**დაღონდება,**
**სილიან ტანით მდინარისკენ**
**გაველურებით,**
**მწვანე ტალღებში**
**დავამშვიდებთ ჩვენს**
**ღელვას ალურს,**
**გამოფხიზლდება შენი რაში**
**სფინქსის ყურებით,**
**დაუწყებს ძებნას უდაბნოში**
**თავის სიყვარულს.**

ასეთ სიყვარულზე და ოჯახის შექმნაზე ფიქრობდა ულამაზესი ქალბატონი – ელენე ბაქრაძე. მაგრამ არ გაამართლა მისმა




ფიქრებმა, ფუჭი გამოდგა მათი სიყვარული და ცოლ-ქმრობა, რაც მეტად სამწუხაროა, ამაზე მკითხველიც დაფიქრდება.

ელენე ბაქრაძე იყო ცისფერყანწელთა ნათლია. ქალმა პაოლოს დორიან გრეის გავლენით დორიანი უწოდა. მერე პაოლოს ეძახდა ასე. მალე დორიანი დარიანად შეცვალა, ასე უფრო კეთილხმოვანიაო. ასე გაჩნდა პოეტი „ელენე დარიანი“, ცისფერყანწელთა დედოფალი. ქუთაისის ქუჩებში რამდენიმე ცისფერპერანგიანი ყმაწვილი და ცისფერკაბიანი ქალიშვილი დასეირნობდა.

ელენე თბილისში მიდიოდა. პაოლომ ეჟვნებიანი ეტლი აბრეშუმის ზონრებით და ცისფერი ყვავილებით მორთო. ეტლში ჩაჯდა თმაში ცისფერ ყვავილებჩაბნეული, ცისფერმანდილმოხვეული ელი, პაოლომ ცხენი გამოხსნა, თვითონ შეება ეტლში და ქუთაისის ქუჩები შემოატარა.

ელის ეროტიკული ლექსები ბევრმა არ მიიღო. ამიტომ პაოლომ იშვილა.

**„შენი ლექსები მე მაზარია,**
**როგორც ბავშვობის**
**წმინდა კრებული,**
**მაგრამ მოწყენით**
**ხშირად არიან,**
**შენს ალერსს მიწყივ**
**დანატრებულნი“.**

ელის „პროფილი კი პაოლოს მოლოდინში შეეჩვია მაღალ მოლოდინს“. იგი თავისთვის ფიქრობდა, მაგრამ ისინი დაშორდნენ ერთმანეთს, პაოლომ ცოლი შეირთო, დაქვრივებული ელენე მეორედ გათხოვდა. ავბედით 37-ში პაოლომ თავი მოიკლა... მისი სახელის ხსენებაც კი აკრძალეს, აღარავის ახსოვდა ელენე დარიანიც. იდუმალებით მოცული ქალბატონი 82 წლის ასაკში გარდაიცვალა 1979 წელს. ის მხოლოდ ლადო გუდიაშვილმა დაიტირა – ცისფერი ყვავილების თაიგული დაადო გულზე მდუმარედ. ძალიან დიდი ხნის შემდეგ დაკარგული პოეტი პროფესორმა გიორგი ჯავახიშვილმა მოიძია.

ვერავის ვერ ვუსაყვედურებ, ასეთია წუთისოფელი.

**აბელ გეგია**

**ვაიმე, ენავ!**

**რუბრიკა მიჰყავს მურმან თავდიშვილს**

## კალკები და კალკები!!!

**მაგონდება სატელევიზიო რეკლამა: „კეტონალი და კეტონალი!!!“**

დღევანდელი ქართული მეტყველება ინგლისურ-ქართული კალკებით ისეა დაბინძურებული, ლამის არის, წამოვიყვირო: „კალკები და კალკები!!!“

ამ ენობრივმა მანკმა, ლამის არის, შეჭამოს ჩვენი მეტყველება.

სინამდვილეში კალკი უფრო ვერაგი დაავადებაა, ვიდრე ერთი შეხედვით გვგონია. საქმე ისაა, რომ ფორმა, სიტყვა თუ სიტყვათა შეხამება – ყველაფერი ქართულია, ოღონდ კონსტრუქციაა უცხოური, არაქართული. ამიტომ იგი ანგრევს მეტყველებისა და წერის ეროვნულ ყალიბს, სტრუქტურას. მაშასადამე, კალკი არის მოყვრად გამოცხადებული დაუძინებელი მტერი. ტყუილად კი არ უთქვამს სულმნათ რუსთაველს: „მოყვარე მტერი ყოველი მტრისაგან უფრო მეტია“.

დღეს მეტად გავრცელებულია ამგვარი მანკიერი თქმები: „კარტოფილს ორ ლარში აგიწონი“; „კარტოფილს ორ ლარში მოგცემ“; „ამ ჩექმას (ტუფლსძ ას ლარში მოგყიდი“.

ამგვარი გამოთქმები უფრო მეტად გვხვდება ბაზრობებზე, თუმცა სხვაგვარად არც სხვა ადგილებში ამბობენ.

ქართული ენის მიხედვით, უნდა ვთქვათ არა „ორ ლარში“ ან „ას ლარში“, არამედ ასე: **ორ ლარად; ას ლარად...**

სატელევიზიო გამოსვლებში, პარლამენტართა ტრიბუნებზე ჩვეულებრივ ასე ამბობენ: „ამ რეჟიმში მუშაობა ძნელია“; „ჩვენ ვმუშაობთ საგანგებო რეჟიმში“ და ა. შ.

სინამდვილეში **რეჟიმი** შენობა ან მოსაცდელი ოთახი როდია, რომ მასში იმუშაო!

რა თქმა უნდა, ქართულია: „ჩვენ ვმუშაობთ ასეთი (ისეთიძ **რეჟიმით“** ან კიდევ – „ჩვენ ვმუშაობთ საგანგებო **რეჟიმის დაცვით“.**

მაშასადამე, „რეჟიმში მუშაობა“ უკუსაგდებია.

ერთობ გავრცელებულია მიუღებელი სიტყვაშეთანხმება: „რაშია საქმე“, „საქმე იმაშია“.

ამ შესიტყვებების გამომყენებელმა არ იცის, რომ მათი ქართული შესატყვისები ასე გამოითქმის:

„რა ხდება“? და „საქმე ის არის“.

შეგახსენებთ: ერთ დროს არსებობდა მშვენიერი სატელევიზიო გადაცემა, რომელსაც ჰქონდა ასეთი რუბრიკა – „რა ხდება?“ ი. ჭავჭავაძე კი ბრძანებს: „სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“.

დიახ, დღეს ბევრი ქართველებისგან დაბეჩავებული ქართული ენა „ბედისაგან დაჩაგრულია“ და ამ შენიშვნებს მისი სიყვარული მაბედვინებს.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო თეირანსა და ვაშინგტონს შორის არიან გამომწყვდეული

**სომხეთს გარს აკრავს არამეგობრული მეზობლები და ჩართულია ოცწლიან უკიდურესად მილიტარიზებულ ტერიტორიულ დავაში აზერბაიჯანთან მთიანი ყარაბაღის ანკლავთან დაკავშირებით. მაგრამ იგი უკვე კარგა ხანია ახერხებს წარმატებით იმოქმედოს დიპლომატიურ ფრონტზე, ამავე დროს მჭიდრო კავშირები იქონიოს ირანთან, რუსეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. სამივე ამ ქვეყანას სომხეთი ეყრდნობა თავდაცვის, ინვესტიციებისა და საგარეო ვაჭრობის თვალსაზრისით**

მაგრამ ორი წლის წინათ სომხეთს მოუწია მოემკო თავისი მოქმედებების ნაყოფი და დაემსახურებინა ამერიკის შეერთებული შტატების რისხვა. იმ დეპეშის თანახმად, რომელიც გადმოსცა 2008 წლის დეკემბერში სახელმწიფო მდივანმა და გამოქვეყნებულია ვიკილიკსის საიტზე, ამერიკელმა მზვერავებმა აღმოაჩინეს, რომ სომხეთი ირანს გადასცემდა ბულგარულ რაკეტებს.

შედეგად, როგორც ნათქვამია ერევანში ამერიკის საელჩოს შეტყობინებაში 2009 წლის იანვრის თარიღით, ეს იარაღი „აღმოჩნდა ერაყში შიიტი ბოევიკების ორი თავდასხმის შემდეგ, რომლის დროსაც დაიღუპა ერთი და დაიჭრა ექვსი ამერიკელი ჯარისკაცი“.

ვაშინგტონმა მოითხოვა განმარტება და სომხები შეშინდნენ.

ამიერკავკასიის მცირე სახელმწიფოები – აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო – გამომწყვდეული არიან ირანსა, რომელსაც პოტენციურად შეუძლია შეუქმნას პრობლემები სამივე სახელმწიფოს, და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, რომელსაც განზრახული აქვს აიძულოს ისინი გაწყვიტონ კავშირურთიერთობანი ისლამის რესპუბლიკასთან. ამის შესახებ არის საუბარი ამერიკელი დიპლომატების შეტყობინებებში, რომლებიც გამოქვეყნებულია ვიკილიკსის საიტზე.

სამივე ქვეყანა განიცდის პრობლემას სეპარატისტებისა და ეთნოსთაშორისი დავების გამო წარმოქმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, რითაც ადვილად შეიძლება ისარგებლონ გარეშე ძალებმა.

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევიც გადაეყარა სირთულეებს. გარეგნულად ის მზად არის, დაეხმაროს ამერიკის შეერთებულ შტატებს, მოახდინოს ირანის იზოლირება, მაგრამ ბაქოში ამერიკის საელჩოს შეტყობინებიდან, რომელიც დათარიღებულია 2010 წლის თებერვლით, ირკვევა, რომ მას ძალიან ეშინია, გაალიზიანოს თავისი დიდი და ხმაურიანი მეზობელი.

ალიევმა ამერიკელ დიპლომატებს უთხრა, რომ ირანის „პროვოკაციები აზერბაიჯანში იზრდება“. მისი სიტყვებით, ირანი არა მხოლოდ „აფინანსებს რადიკალურ ისლამისტურ დაჯგუფებებს და ტერორისტებს „ჰეზბოლადან“, არამედ აღვივებს კონფესიათაშორის სხვაობასაც აზერბაიჯანისგან გამოყოფილ ძირითად ტერიტორიაზე ნახიჩევანის რეგიონში, აწყობს დემონსტრაციებს ბაქოში და აზერბაიჯანის საელჩოსთან უცხოეთში, აგრეთვე ცდილობს, გააშავოს ალიევის სახელი, აჩვენოს მისი პორტრეტი დავითის ვარსკვლავით ირანის ტელევიზიით.




ალიევმაც, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ელმარ მამედიაროვმაც გამოთქვეს შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ აზერბაიჯანი შეიძლება გახდეს ირანის დარტყმის „სამიზნე“. ორივემ მიუთითა იურიდიული თვალსაზრისით არაერთმნიშვნელოვან საზღვრებზე ირანთან კასპიის ზღვაში, როგორც მსგავსი დარტყმის მიყენების სავარაუდო წერტილს.

„ალიევმა სიტუაცია ირანში მიიჩნია უკიდურესად დაძაბულად, იგი აღნიშნავს, რომ ეს შეიძლება აფეთქდეს ნებისმიერ მომენტში“, – ნათქვამია შეტყობინებაში.

სხვა შეტყობინებაში, რომელიც დათარიღებულია 2006 წლის დეკემბრით, ალიევი გამოიყურება როგორც თავდაცვის პოზიციაში მყოფი, როდესაც გამოხატავს შეშფოთებას ამერიკის შეერთებული შტატების ირანთან პოლიტიკის გამო, რომელიც მას არ ესმის, მაგრამ 2010 წლის თებერვლის შეტყობინებაში იგი უკვე გამოიყურება უფრო თავდაჭერილად შეხვედრებთან დაკავშირებით და უფრო შეშფოთებულად ირანის წინაშე.

„რუსეთის პრეზიდენტმა მედვედევმა ერთხელ თქვა, რომ „რუსეთს არ უნდა, რომ ამერიკელებმა მოახრჩონ ირანი, მაგრამ არც ის უნდა, რომ ირანს ჰქონდეს ბირთვული იარაღი“, – თქვა მან და, როგორც ჩანს, ეს არის დილემა, რომელსაც იგი იცნობს კარგად.

საქართველოც სცილასა და ხარიბდას შორის აღმოჩნდა რამდენჯერმე. ორი წლის წინათ მისი ურთიერთობა ირანთან პარალიზებული იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნით ირანის მოქალაქის გადაცემის გამო, რომელსაც ბრალი ედებოდა კონტრაბანდაში, ფულის გათეთრებასა და შეთქმულებაში.

2010 წელს ვითარება განიმუხტა, და ირანმა საქართველომ მოხსნეს ერთმანეთთან სავიზო მოთხოვნები, განაახლეს პირდაპირი ავიამიმოსვლები დედაქალაქებს შორის და მოილაპარაკეს პარტნიორობის შესახებ წვრილი ვაჭრობის, ტურიზმისა და ინფრასტრუქტურის დარგში, რამაც, ალბათ, ვაშინგტონის ერთგვარი გაოცება გამოიწვია.

არის შეტყობინება, რომელსაც მიუთითებენ რუსეთისა და საქართველოს ვებგვერდებზე და რომელიც ჯერჯერობით არ ჩანს ვიკილიკსის დოსიეში. მასში მოყვანილია ნაწყვეტები ბრიფინგიდან, რომელიც მოაწყო მაღალი რანგის ამერიკელმა დიპლომატმა რიჩარდ ჰოლბრუკმა ამიერკავკასიაში გამგზავრების წინ. იტყობინებიან, რომ საქართველო „ცდილობს, გაარკვიოს თავისი ურთიერთობანი ირანთან“, მაგრამ ეშინია არ დაუშვას გამოუსწორებელი შეცდომები, რომლებიც ირანს საშუალებას მისცემს, აღიაროს გამოყოფილი რესპუბლიკების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, როგორც ეს რუსეთმა გააკეთა 2008 წელს.

„მას არ შეუძლია თავს მისცეს ნება, გააფუჭოს ურთიერთობა ძლიერ მეზობელთან რეგიონში და საგარეო ვაჭრობის დიდ პარტნიორთან“, – ნათქვამია შეტყობინებაში. როგორც ჩანს, იგივე მოსაზრებანი არის ამიერკავკასიის ყველა ქვეყანაში.

სომხეთს უკვე დიდი ხანია შედარებით კეთილსაიმედო ურთიერთობა აქვს ირანთან, ნაწილობრივ იმის გამო, რომ მას წარმოუდგენლად სურს, ჰყავდეს თუნდაც ერთი მოკავშირე რეგიონში.

მას შემდეგ, რაც სომხეთმა, როგორც ამის შესახებ ამტკიცებენ, გადასცა იარაღი ირანს, სახელმწიფო მდივნის მაშინდელმა მოადგილემ ჯონ ნეგროპონტმა სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარქისიანს გაუგზავნა კონფიდენციალური გზავნილი, რომელშიც, კერძოდ, საუბარი იყო იმის შესახებ, რომ სომხეთმა ძალღონე უნდა მოიკრიფოს და საშუალება მისცეს ამერიკელ ინსპექტორებს, გამოცხადდნენ შესამოწმებლად გაფრთხილების გარეშე – წინააღმდეგ შემთხვევაში ამ პატარა ქვეყანას დაემუქრება „დახმარების შეწყვეტა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან და გარკვეული საექსპორტო შეზღუდვები“.

ამერიკის შეერთებული შტატების სანქციები კატასტროფა იქნებოდა სომხეთისთვის. ეს ღარიბი ქვეყანა ისედაც განიცდის სანქციებს, რომლებიც დაადეს მას მეზობელმა აზერბაიჯანმა და თურქეთმა.

არც ერთ შეტყობინებაში არ არის ნათქვამი იმის შესახებ, შეასრულა თუ არა სომხეთმა ამერიკის შეერთებული შტატების ბრძანება, მაგრამ 2010 წლის იანვარში იყო შეტყობინება, რომლის თანახმადაც სომხეთის ეროვნული უშიშროების სამსახურის უფროსი გორიკ აკოფიანი არწმუნებდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს – სომხეთი აპირებს, შეასრულოს ამერიკელების ყველა მოთხოვნა.

„სომხეთს უამრავი პრობლემები აქვს და არ არის არანაირი სურვილი, შეიქმნას კიდევ მეტი პრობლემები“, – თქვა აკოფიანმა, როგორც ამას იტყობინებიან.

Los Angeles Times

# საქართველო განაგრძობს ვაშინგტონში ნატოს წევრობისთვის ბრძოლას

**ამ კვირაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე გიორგი ბარამიძე ვაშინგტონს სტუმრობდა და მისი ვიზიტის დღის წესრიგის სათავეში, როგორც ჩანს, სამხედრო და ნატოსთან დაკავშირებული საკითხები იყო. საქართველო, რომელიც ახალი ძალების მოზღვავებას გრძნობს ნატოს ლისაბონის სამიტის წარმატებისგან, მისი ალიანსში წევრობის საკითხის ხელახლა წამოწევას ცდილობს**

Associated Press-სთან ინტერვიუში, ბარამიძემ განაცხადა რომ მას „სურს შეერთებულმა შტატებმა ზოგადი მონახაზი გააკეთოს იმ ნაბიჯებისა, რომლებიც აუცილებელია ქვეყნის ნატოში გაწევრებისთვის“. საქართველო „უკვე იქცევა ისე, თითქოს ის ნატოს წევრია“ – თქვა ბარამიძემ და განაცხადა, რომ თბილისს სურს „საგზაო რუკა“, რომელიც მას წევრობისთვის სჭირდება.

ამ მიზნით მან აშშ-ს რამდენიმე სენატორს ხელი მოაწერინა რეზოლუციაზე, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. რეზოლუციის პრეზენტაცია მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ მოხდა და სრული ტექსტი ჯერ არ გამოქვეყნებულა, თუმცა დოკუმენტის სათაურია „რეზოლუცია, რომელიც გამოხატავს სენატის დამოკიდებულებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სიტუაციის მიმართ მის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში“. ბარამიძემ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს განუცხადა, რომ რეზოლუციას რამდენიმე დღეში უყრიან კენჭს.

„ჩვენ უნდა ვიცოდეთ შეერთებული შტატების პოზიცია და ის, თუ როგორ ხედავს საქართველოს ალიანსში ინტეგრაციას. ამ საკითხზე ალიანსის წევრების პოზიცია სამჯერ მოვისმინეთ და ამ პოზიციის თანახმად ნატოს კარი საქართველოსთვის ღიაა“, – განაცხადა ბარამიძემ.

მან ასევე მიიღო საქართველოსთვის იარაღის მიწოდებაზე საჯარო მხარდაჭერა აშშ-ის წარმომადგენლის ილეანა როს-ლეტინენისგან. მისი ოფისის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად:

„შეერთებული შტატები და ნატო მხარს უჭერენ საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ. საქართველოში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სიტუაცია კვლავ მყიფეა და მნიშვნელოვანია, რომ შეერთებულმა შტატებმა საქართველოს მიაწოდოს თავდაცვითი შეიარაღება, რაც მას მომავალში რუსული არმიის ნებისმიერი შეტევის შესაკავებლად სჭირდება“.

გასაკვირი არ არის როს-ლეტინენის პოზიცია: ის ცნობილი ანტირუსეთელია და შარშან წარმოადგინა რეზოლუცია, რომელიც ევროკავშირს და ნატოს ქვეყნებს რუსეთის შეიარაღების წინააღმდეგ სანქციების შემოღებას მოუწოდებდა, მაგრამ მალე ის მსგავსი რამის განხორციელებისთვის ძალიან ძლიერ პოზიციებს დაიკავებს: როდესაც რესპუბლიკელები სენატში კონტროლს მოიპოვებენ, ის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე გახდება.

ის, რომ ბარამიძე შეიარაღების პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას, გასაგებია: შეუძლებელი არ არის ის, რომ აშშ-მა ამ საკითხზე პოზიცია შეიცვალოს და ეს მხარდაჭერის კონკრეტული ნიშანი იქნება, თუმცა ნატო სხვა საკითხია. რა თქმა უნდა, საქართველოს არ სურს ნატოს წევრობის საკითხში იმედგაცრუება, მაგრამ რაც მეტი დრო გადის, ალიანსში სრულყოფილი წევრობის პერსპექტივა სულ უფრო შორეული ხდება. აშშ-ის მაღალჩინოსნებთან მოლაპარაკებებში ნატოს საკითხის მთავარ პრიორიტეტად წარმოჩენით, ქართველებს სასოწარკვეთილთა და არარეალისტთა იმიჯი შეექმნებათ.

EURASIANET.org

## დედამიწის ზურგზე




**ლონდონში ციხიდან გაათავისუფლეს რუსი ჯაშუში ქალი**

25 წლის ქალიშვილის სახელს არ ასახელებენ, მაგრამ ცხადია, რომ ეს ეკატერინა ზატულივეტერია, პარლამენტის დეპუტატის მაიკლ ჰენკოკის თანაშემწე. იგი დააკავეს ჯაშუშობაში მონაწილეობის ეჭვით. ოფიციალური ბრალდება მას არ წაუყენეს, უპირებდნენ ქვეყნიდან დეპორტირებას. ახლა დეპორტაციის მაგივრად მას შინა პატიმრობა მიუსაჯეს.

* * *

**აშშ-ში გამოსცადეს ელექტრომაგნიტური ქვემეხი: ის დაარტყამს 160 კილომეტრზე ხმის სიჩქარეზე 8-ჯერ უფრო მეტი სისწრაფით**



ჭურვი წარმოადგენს მარტივ კაპიტულას (ბოლვანკას), შიგნით მას ასაფეთქებელი ნივთიერება არ აქვს. დამანგრეველი ეფექტი მიიღწევა მხოლოდ კინეტიკური ენერგიის წყალობით. ასეთი იარაღის დაყენებას ვარაუდობენ ხომალდებზე, მაგრამ ქვემეხის დამუშავებისთვის დასჭირდებათ ჯერ კიდევ ბევრი წელი.

* * *

**სასამართლომ შეაჩერა ობამას სამედიცინო რეფორმა, მასში კონსტიტუციასთან შეუსაბამობა დაინახეს**



რეფორმა, რომელიც მოითხოვს ამერიკელებისგან ჯარიმის გადახდის შიშით შეიძინონ სამედიცინო დაზღვევა, „არ შეესაბამება კონსტიტუციის არსსა და სულისკვეთებას“, გადაწყვიტა ვირჯინიის შტატის სასამართლომ. საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლო.

* * *

**33 წლის წინათ გაშვებულ საპლანეტათაშორისო ნასას ზონდმა მზის სისტემის საზღვრებს მიაღწია**

ვოიაჯერ-1 უახლოვდება ვარსკვლავთაშორის სივრცეს. მას ჰელიოსფერო ჯერ არ დაუტოვებია. როგორც მეცნიერებმა განმარტეს, თუ აპარატი გავიდოდა ვარსკვლავთშორის სივრცეზე, ეს გამოიწვევდა სიმკვრივის მკვეთრ დაცემას ცივი ნაწილების სიმკვრივის ერთდროულ ზრდასთან ერთად.



## ჩვენი კარაბადინი




### თანმდევი ეფექტი

**პარაცეტამოლი ახდენს ბავშვებში ასთმის განვითარების პროვოცირებას, ამტკიცებენ მეცნიერები ახალი ზელანდიიდან. პატარებს, რომლებიც ამ წამალს ღებულობენ წლინახევრის ასაკამდე, ეზრდებათ ალერგიის განვითარების რისკი მოზრდილ ასაკში ყოფნის დროს.**

ჩვენი მხრიდან დავუმატებდით, რომ ასეთი პატარა ბავშვებისთვის ასპირინის მიცემა სასიკვდილოდ სახიფათო სინდრომ რეას განვითარების საფრთხის გამო არ შეიძლება, ტემპერატურის დაწევა კი შეიძლება შემოწმებული ხალხური საშუალებებით — მარილიანი ჩაით, თბილი დუშით, სველი ტილოთი დაზელვით და ა.შ.

### საშინელების დაცვა



**საშინელებათა ფილმების ყურება ნაყოფიერ გავლენას ახდენს ქალებზე, ამტკიცებენ ამერიკელი მეცნიერები.**

თავის ტვინი, როდესაც აღიქვამს საფრთხეს, რაც ტრავმას არ გაყენებს, ვინაიდან არ აქვს ურთიერთობა სინამდვილესთან, წარმოქმნის დამატებით ენერგიას, რომელიც ააქტიურებს ნეოტრანსლიტერებს — გლუტამატს, დოფამინსა და სეროტონინს. შედეგად ორგანიზმი გარკვეული დროის განმავლობაში იმყოფება საბრძოლო მზადყოფნაში.

თანაც პოტენციური საფრთხის სიგნალი მოდის ჰიპოტალამუსიდან, რომელიც სტიმულს აძლევს თირკმელების ზედა ნაწილს ადრენალინის წარმოებისთვის. იგი, თავის მხრივ, პასუხისმგებელია ოპიატების წარმოებისთვის. ეს უკანასკნელი ტკივილგამაყუჩებელ ზემოქმედებას ახდენს. ნახევარი საათის შემდეგ ყველა სისტემა მოდის მშვიდ მდგომარეობაში, ორგანიზმის დამცველი ძალები კი ძლიერდება.

### ავლადიდება



**ფრანგული სამზარეულო შეტანილია კაცობრიობის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს იუნესკოს სამთავრობათაშორისო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომიტეტის სესიაზე. კონცეფცია არამატერიალური კულტურის ძეგლების დაცვის შესახებ მიღებული იქნა 2003 წელს და მას შემდეგ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის კულტურული მემკვიდრეობის ჩამონათვალი შეივსო ხალხური წარმოების, ტრადიციული სიმღერების, ცეკვებისა და ჩვეულებების ბევრი მაგალითით. მაგრამ ადრე არასოდეს ცალკე აღებული გასტრონომიული ხელოვნება არ ყოფილა ამ სიაში.**

ამჟამად საფრანგეთის მთავრობას განზრახული აქვს მიიღოს მთელი რიგი ზომები თავისი მდიდარი გასტრონომიული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის. უახლოეს პერიოდში საფრანგეთის ხელისუფლება დაიწყებს ახალი პროგრამების განხორციელებას, რომელთა მიზანიცაა ადგილობრივი კულინარიული წეს-ჩვეულებების წახალისება, მოზარდი თაობის წახალისება საკვების მომზადების ეროვნულ კულტურასთან დაკავშირებით, ქვეყნის შიგნით გასტრონომიული ტურიზმის განვითარება და ფრანგული სამზარეულოს საერთაშორისო არენაზე გატანა.

### ზიანის მომტანთა სია



**ბრისტოლის ბრიტანული უნივერსიტეტის სტომატოლოგიური სკოლის მკვლევრებმა დაასახელეს ზიანის მომტანი ის ნივთიერებანი, რომლებიც კბილებს ანგრევენ.**

**მათ შორის არის ციტრუსები, ხილისა და ჩაის ნარევი, თეთრი ღვინო, ენერგეტიკული სასმელები... — პროდუქტები, რომლებშიც არის ბევრი მჟავა, რაც ემალს ზიანს აყენებს.**

მეტად საზიანოა ხშირი კვებაც: ექსპერტების აზრით, კბილებს შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ მჟავის მაქსიმუმ ხუთ შეტევას დღეში. ზოგიერთი ისეთი პრეპარატი, როგორიცაა ანტიდეპრესანტები, ზოგიერთი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება ნერწყვს ასქელებს და აშრობს პირის ღრუს. ისინი აგრეთვე ზიანს აყენებენ ემალს, ნერწყვი ხომ კბილების მთავარი დამცველია. თუ იგი არ კმარა, კბილები ვერ უძლებენ აგრესიულ დამანგრეველ გარემოს.

დაბოლოს, კბილებისთვის ყველაზე სახიფათო პროცედურა — გათეთრებაა. იგი ათხელებს კბილის ემალს, იწვევს კარიესს, ეროზიასა და ჰიპერმგრძნობელობას.

### გაღვიძების საშუალება



**საუკეთესო საშუალება — გავიღვიძოთ მალე და გამოვფხიზლდეთ — არის ერთი ჭიქა ცხელი ტკბილი ყავის დალევა, ამბობენ ესპანელი მეცნიერები.** გლუკოზა კოფეინთან დუეტში გვეხმარება, აქტიური გავხადოთ ტვინის იმ ორგანოების მუშაობა, რომლებიც პასუხს აგებენ ყურადღებაზე, კონცენტრაციასა და მეხსიერებაზე.

**მხოლოდ ციფრები**

**სამი ათასზე მეტი რუს ჯარში გაწვეულს აღიარებენ სამხედრო სამსახურისთვის გამოუსადეგრად ნარკოტიკული საშუალებების გამოყენების გამო.**

ДОРОВЬЕ

## დაიჯესტი

### სევდიანი „ფელიჩიტა“



**მე-20 საუკუნის ესტრადის ერთ-ერთი ულამაზესი წყვილი, უდავოდ, ცოლ-ქმარი — ამერიკელი რომინა პაუერი და იტალიელი ალ ბანო (ალბანო კარიზიძ იყვნენ, რომელთა ცნობილი სიმღერა „ფელიჩიტა“ დღესაც ბევრს ახსოვს. ეს დუეტი თითქმის ყველაფრის განსახიერება იყო, რაზეც მილიონობით ადამიანი ოცნებობს: მათ ერთმანეთი უყვარდათ, იყვნენ მდიდრები და დიდი სახელიც მოიხვეჭეს, მაგრამ... ყველაფერი 1994 წელს ნიუ-ორლეანში დატრიალებულმა ტრაგედიამ შეცვალა — მათი უფროსი ქალიშვილი ილენია გაქრა.** 24 წლის ჟურნალისტი ილენია შავკანიან ამერიკელებზე მასალის მოსამზადებლად წავიდა, ერთ-ერთი ვერსიით იგი მოიტაცეს, თუმცა გამოსასყიდი არავის მოუთხოვია. ილენიას კვალს ვერც ამერიკის შეერთებული შტატების, ვერც იტალიის პოლიციელებმა ვერ მიაკვლიეს. მშობლებმა კარიერა მიატოვეს და წლების მანძილზე ეძებდნენ ქალიშვილს მთელს ამერიკაში, მაგრამ ამაოდ. მათი ერთობლივი ცხოვრება გაუთავებელ უსიამოვნებად გადაიქცა, ოჯახი ვერც ვაჟიშვილმა იარიმ, ვერც ქალიშვილებმა კრისტელმა და რომინამ ვერ გაამთლიანეს...

განქორწინების შემდეგ ალბანოს რამდენიმე მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი რომანი ჰქონდა, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, მან სულიერი სიმშვიდე რუს ლამაზმან მარია ოსოკინასთან ნახა, რომელსაც იგი, თურმე... 12 წლის ასაკიდან უყვარდა.

### ჯერ იმან დალიოს, მერე მეც დავლევ...



**საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი ლუი პასტერი ერთხელ ლამის დუელის მონაწილე გახდა. სახელოვან ექიმს, რომელიც ყვავილის ბაქტერიის კულტურას სწავლობდა, ვიღაც კაცმა მიაკითხა და თავი ერთი დიდგვაროვნის სეკუნდატად წარუდგინა, რომელმაც რაღაც მიზეზით პასტერისგან თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და დუელში გამოიწვია.** ექიმმა წარგზავნილს მოუსმინა და მიუგო: „რადგან დუელში გამომიწვიეს, იარაღის არჩევის უფლება მაქვს. აი, თქვენ, ორი კოლბა: ერთში ყვავილის ბაქტერიაა, მეორეში — დისტილირებული სუფთა წყალი. თუკი თქვენი გამოგზავნილი დალევს ერთ-ერთი კოლბის შიგთავსს, მე მეორეს დავცლი“. დუელი, ცხადია, არ შედგა.

ლუი პასტერი იუმორით აღსავსე კაცი იყო, ამას კიდევ ერთი მაგალითი მოწმობს. მის კვლევებს ლუდის ერთ-ერთი ცნობილი ქარხანა აფინანსებდა, რომელმაც სამეცნიერო კონგრესზე მისი მიწვევისა და მგზავრობის ხარჯი იკისრა. როცა ფორუმზე პასტერს სიტყვა მისცეს, მან ჯერ იმით დაიწყო, რომ სცენაზე... ლუდის სარეკლამო პლაკატები გამოფინა და აღნიშნა, რომ სასმელის ეს მარკა საუკეთესოა. მოხსენების კითხვას კი მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა.

### ძველი ჩინური რუკები, საყურე და სხვა



**გერმანიის ქალაქ კუქსჰაფენის მცხოვრებმა ოტო ჰიმელკირჰმა, საბოლოო ანგარიშით, ზღვაში 40 წელი გაატარა. იგი დაცურავდა სამგზავრო, თევზმჭერ და სავაჭრო გემებით და მთელი ამ ხნის მანძილზე... ზვიგენების კუჭებში ნაპოვნ საგნებს აგროვებდა.** მის კოლექციაშია თიხის ჩიბუხები, წყვილი საყურე, მეზღვაურთა დანები, სექსტანტი, სამი ვერცხლის კოვზი და მრავალი სხვა უჩვეულო საგანი. თუმცა კოლექციის ჭეშმარიტი მშვენებაა... მე-18 საუკუნის ჩინური რუკები, რომლებიც ვერცხლის თხელ ფირფიტებზეა გამოსახული, ასევე ოფიცრის კორტიკი, რომელზეც ამოტვიფრულია „ბობ ძროსბი. 1882 წელი“.

### მთავარია მონდომება

**... და ორივ ხელით იჭმევის ძალა თუ გული გულობსო... ძნელადაა წარმოსადგენი, რომ ეს გამონათქვამი კალიფორნიის შტატის ქალაქ პასადენაში მცხოვრებმა ყმაწვილკაცმა სთივენ ორთეზმა იცოდეს, მაგრამ იგი მიზანდასახული ვინმე რომ არის, ამაზე მეორე აზრი არ არის.**

თავდაპირველად ახალგაზრდამ ერთ-ერთ ინტერნეტ-საიტზე მოძველებული მოდელის ტელეფონის გაყიდვის თაობაზე განცხადება გამოაქვეყნა და მალევე იგი ფლეიერში გაცვალა. ცოტა ხანში მან სარფიანად იგი ნოუთბუქში გადაცვალა, რასაც მისი სამთო ველოსიპედში ხელსაყრელი „ჩენჯი“ მოყვა... მოკლედ, სახეირო გარიგებებს ნორჩმა მისტერ ორთეზმა ორი წელი მოანდომა და გარიგებათა ჯაჭვიც საკმაოდ გრძელი იყო. საბოლოო ანგარიშით, მის შემდეგ, რაც მის ხელში ჯერ 20 წლის ყველგანმავალმა „ტოიოტამ“, შემდგომ კი 1975 წელს გამოშვებულმა იშვიათმა „ფორდ ბრონკომ“ გამოიარა, მის ხელთ, არც მეტი, არც ნაკლები, უაღრესად პრესტიჟული „პორშე“ აღმოჩნდა!

ახალგაზრდა ბიზნესმენის თქმით, ონლაინ-ვაჭრობა საკმაოდ რთული საქმეა, მაგრამ მისთვის თავის დანებებას არ აპირებს — ახლა იგი იმაზე ზრუნავს, რომ „პორშე“... რომელიმე უფრო იაფად შესანახ ავტომანქანაში გადაცვალოს, ცხადია, სოლიდური მოგებით.

### ახლა კი „შევისვენოთ“

**ცნობილი თქმა — კარგად იცინის ის, ვინც ბოლოს იცინისო — რომ „შევასწოროთ“, შეიძლება ვთქვათ, რომ კარგად ისვენებს ის, ვისაც ამის სახსრები აქვს.**

კომფორტულად დასვენების შესაძლებლობა, ცხადია, სხვებზე მეტად, ძლიერთა ამა ქვეყნისებსა და მათი ოჯახის წევრებს სხვებზე მეტად აქვთ,



თუმცა აქაც გარკვეული ნიუანსებია, რომლებიც, ძირითადად, ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფოებისთვისაა დამახასიათებელი, ვიდრე... თუმცა, ამჟამად შედარებებისგან თავს შევიკავებთ.

ამერიკის შეერთებული შტატების პირველ ქალბატონს ჟურნალისტები ქარცეცხლში ატარებენ გადაჭარბებული ფუფუნებით გატარებული დასვენების გამო. წლეულს ზაფხულში მიშელ ობამა უმცროს ქალიშვილ საშასთან ერთად ესპანეთს გაემგზავრა. თავის ამალასთან ერთად მან მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ფეშენებელურ სასტუმროში 60 (!ძ ნომერი იქირავა. მისის ობამას „არდადეგები“ ამერიკელ გადასახადების გადამხდელებს დღე-ღამეში 80 ათასი ევრო უჯდებოდათ.

### ახალი „რობინ ჰუდები“

**ათენის ერთ-ერთ გარეუბან კესარიანში 30-ზე მეტი ნიღბიანი კაცი სუპერმარკეტში შეიჭრა, ურიკები კვების პროდუქტებით გაავსო და ფულის გადაუხდელად, ქუჩაში გაიტანა, სადაც გამვლელთათვის მათი... უფასოდ დარიგება დაიწყო.** აქციის ორგანიზატორთა განმარტებით ამით მათ პროტესტი გამოხატეს მთავრობის მიერ დამატებული ღირებულებისა და სააქციზო გადასახადების მომატების გამო, რის მიზანია ბიუჯეტის შევსება. ახალ „რობინ ჰუდთა“ აზრით, ამის შედეგად საგრძნობლად გაძვირდა ბენზინი, ალკოჰოლიანი სასმელები და თამბაქო, ასევე — და ეს მეტად მნიშვნელოვანია — კვებისა და სხვა პროდუქტები.

„რობინ ჰუდებისა“ რა მოგახსენოთ, მაგრამ, სხვა მხრივ, სურათი ხომ არ გეცნობათ, პატივცემულო მკითხველო?

### ვულკანის დღე

**აგვისტოს მიწურულს კამჩატკაზე „ვულკანის დღე“ აღნიშნეს, რომელსაც ოფიციალური დღესასწაულის სტატუსი მიენიჭა. დღესასწაული 2741 მეტრის სიმაღლის ავაჩინსკი ვულკანის მწვერვალზე მასობრივი ასვლით აღნიშნეს.** ვულკანის ძირში საბაზო ბანაკი მოაწყვეს, ხოლო დღესასწაულის პროგრამაში შედიოდა „გოლფი ვულკანის ძირში“, კამჩატკელი ბარდების გამოსვლები, შეჯიბრი ჩრდილოეთის ხალხთა ტრადიციულ სპორტულ სახეობებში, საჰაერო გველეშაპების კონკურსი, რადიომართვადი საფრენი აპარატების საჩვენებელი გამოსვლები და სხვ.

**მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ**



◉ მაგიდის ჩოგბურთი

# ტრადიციის ერთგულნი

**იყო დრო, ჩვენი ქვეყნის მაგიდის ჩოგბურთელები მთელ საბჭოეთსა და მის ფარგლებს გარეთაც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ. დროთა განმავლობაში ტრადიციები დავიწყებას მიეცა, ცნობილი სპეციალისტები ან უცხოეთში გადაბარგდნენ სამუშაოდ, ან ოჯახის სარჩენად სხვა პროფესიას მიჰყვეს ხელი, თუმცა ბოლომდე ვერ უღალატეს ჭაბუკობის სიყვარულს და ნელ-ნელა უბრუნდებიან უწინდელ საქმიანობას.** ერთ-ერთი გახლავთ ჯემალ მელაძე – 1987-1990 წლებში საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი, საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც 11 წლის განმავლობაში საქართველოს ნაკრებს წვრთნიდა და საერთაშორისო სარბიელისკენ მრავალ მოზარდს გაუკაფა გზა. დასტურად ახალგაზრდებში საბჭოთა კავშირის პრიზიორების, საკავშირო ნაკრების წევრების – პაატა ფირცხალავას და სოფიო ტრიანდაფილიდის დასახელებაც კმარა. 2008 წლიდან ბატონი ჯემალი კვლავ დაუბრუნდა მაგიდის ჩოგბურთს – მუშაობა თბილისის 111-ე საჯარო სკოლაში დაიწყო, რომელსაც საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი მერაბ მეტრეველი ხელმძღვანელობს. საგულისხმოა, რომ სკოლამ წლეულს სპორტის ერთ-ერთ ძირითად სასწავლო საგნად მაგიდის ჩოგბურთი აირჩია. მეორე-მეოთხეკლასელი 300-მდე გოგონა და ვაჟი ეუფლება სპორტის ამ სახეობის საიდუმლოებას ჯემალ მელაძის, ვანო სალუქვაძის, ლუბა ახალაძისა და მამუკა ტურაშვილის ხელმძღვანელობით, 12 მოზარდი კი დღეში ორჯერ მეცადინეობს და მნიშვნელოვანი შეჯიბრებებისთვის ემზადება. მათ შორის 13 წლის **ელენე მეტრეველი** გამოირჩევა. მან ორი წლის წინათ დაიწყო ვარჯიში რუსთავში გიორგი მახაროხლიძესთან. წელიწადზე მეტია, მელაძის დახმარებით იმაღლებს ოსტატობას. შარშან თანატოლთა შორის საქართველოს პირველობაზე მე-3 ადგილი დაიკავა, წლეულს თბილისის ჩემპიონატში მიაღწია მსგავს წარმატებას, უკვე ქალთა შორის, ამას წინათ კი უფროსებში საქართველოს თასის გათამაშებაზე მე-5 იყო.



– ნიჭიერი გოგონაა, შრომისმოყვარე, – გვითხრა ჯემალ მელაძემ. – ბოლო დროს იმდენად დაწინაურდა, რომ თანატოლებში მის გამოყვანას აზრი არა აქვს – ყველას ჯაბნის. საქართველოს თასზე დიდებში თვით ვერიკო ბარამიძეს, რომელიც 15 წელიწადია, საქართველოს უცვლელი ჩემპიონია და მეტოქეებს მშრალი ანგარიშებით ამარცხებს, პარტიაც კი მოუგო.

**– საერთაშორისო ტურნირებში თუ გამოგიცდიათ?**

– ბატონი მერაბ მეტრეველი ყოველმხრივ გვიწყობს ხელს და ნორმალური ვარჯიშისთვის პირობებს გვიქმნის, მაგრამ სკოლას იმდენი მატერიალური შესაძლებლობა არა აქვს, უცხოეთში გაგვგზავნოს შეჯიბრებებზე. მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციაც ანალოგიურ დღეშია. არადა, ელენეს და მის მეგობარს, 12-წლიანებში საქართველოს ჩემპიონ მარიამ გვარამიას დასაოსტატებლად აუცილებლად სჭირდებათ საერთაშორისო ტურნირები. გაისად ივლისში მოსკოვი კადეტთა და იუნიორთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. იმ შეჯიბრებაში რეალურად გვაქვს ათეულში მოხვედრის შანსი როგორც ინდივიდუალურ, ისე წყვილებსა და გუნდურ პაექრობებში. მოსამზადებლად და ტურნირზე წასასვლელად კი სულ მცირე 20 ათასი ლარი მაინც გვჭირდება. არ ვიცი, დაგვეხმარებიან კი?

**– დავიჯერო, სომხეთსა და აზერბაიჯანში გასამგზავრებელი თანხებიც არ მოიძებნება?**

– ჩემი ყოფილი შეგირდი პაატა ფირცხალავა ანკარის ერთ-ერთ კლუბში მუშაობს. შეგვპირდა, ჩამოდით და 3-4 კაცს ჩემს ბინაში გაცხოვრებთო. გზის ფული გვჭირდება მხოლოდ. არადა, თურქეთის ლიგაში 22 ჩინელი თამაშობს და მათთან გაჯიბრება უზარმაზარ გამოცდილებას შეგვძენდა.

**– უახლოეს გეგმებზე რას გვეტყვით?**

– 24-26 დეკემბერს 161-ე სკოლის დარბაზში წინასაახალწლო ტურნირი გაიმართება, ფაქტობრივად, თბილისის პირველობა და ვეცდებით, იქ გამოვიჩინოთ თავი.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: ჯემალ მელაძე და ელენე მეტრეველი.**

**ავტორის ფოტო.**

◉ რაგბი

# „რუსი დათვები“ და მრისხანე ქართველები



**რაგბიში რუსეთის ნაკრები მოსკოვში დაბრუნებულა სამხრეთ აფრიკაში გამართული სასწავლო-საწვრთნელი შეკრებიდან, სადაც სამი ამხანაგური შეხვედრიდან სამივე წაუგია.**

ახლო ხანში ის კვლავ გაემგზავრება – ამჯერად პორტუგალიაში ახალი სეზონის პირველ ოფიციალურ მატჩზე, რომელიც განმსაზღვრელი იქნება რუსეთის გუნდის შემდგომი ბედისათვის. მართალია, დამარცხების შემთხვევაში ის არ დაკარგავს ყველა შანსს ახალ ზელანდიაში გაისად მსოფლიოს თასზე წასასვლელად, მაგრამ ახლოს კი იქნება ამასთან: წინ ხომ შეხვედრები ელის მრისხანე ქართველებთან და არანაკლებ ძლიერ რუმინეთის ნაკრებთან. იმედები, რომ ამ მატჩებში ქულათა მაქსიმუმი იქნება მოპოვებული, „რუსი დათვების“ ყველაზე „გამოუსწორებელ“ ოპტიმისტებსაც ერთობ მცირე აქვთ....

**მოამზადა**

**თამაზ ებანოიძემ**

◉ ჭადრაკი

# ლიდერობს ტრიო



**საჭადრაკო სუპერტურნირზე Londess chess Classic – 2010 მეხუთე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები – მსოფლიო ჩემპიონი ვიში ანანდი და ინგლისელი ლიუკ მაკშეინი. რეიტინგით №1 და მე-100 მოჭადრაკეების დაპირისპირებაში.** ინდოელმა პრობლემები ვერ შეუქმნა ნისლიანი ალბიონის წარმომადგენელს და 42-ე სვლაზე ყაიმმა ისინი ლიდერებად დატოვა, თუმცა მათ შეემატათ ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი, რომელმაც ისარგებლა დევიდ ჰაუელის უგერგილო თამაშით, მის შეუვალ ბასტიონებს თეთრებით რომ უტევდა, და 55-ე სვლაზე ისინიც ყაიმზე მორიგდნენ.

ვლადიმერ კრამნიკს დიდი გარჯა არ დასჭირდა მაიკლ ადამსის შეტევის მოსაგერიებლად და ყაიმის მისაღწევად. ნაიჯელ შორტი კი უსუსურად უძალიანდებოდა ხიკარ ნაკამურას და 34-ე სვლაზე დანებდა.

5 ტურის შემდეგ სუპერტურნირზე ასეთი მდგომარეობაა: კარლსენი, ანანდი, მაკშეინი – 9 ქულა, ნაკამურა, კრამნიკი – 8, ადამსი – 6, ჰაუელი – 2, შორტი – 1 (შეგახსენებთ, რომ ტურნირზე ქულები ფეხბურთის წესების მიხედვით აითვლება).

**ანა ქაფიაშვილი,**

**საინფორმაციო სააგენტო „კაბადონი-8“**

◉ ვერსია

# მონაკოს პრინცი – კორუფციონერი?

**სადაზვერვო სამსახურის მრჩეველმა, რომელიც მონაკოს მეფის ალბერტ მეორის მმართველობისას მსახურობდა, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში კორუფციაზე განცხადება შეიტანა, რომელიც 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის ადგილად რუსეთის არჩევისას პრინცის მიერ ხმის მიცემას ეხება. ამის შესახებ იუწყება „ინდეპენდენტი“**

მრჩეველი რობერტ ერინგერი აცხადებს, რომ პრინცმა რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინისა და კრემლის ბანკირის სერგეი პუგაჩოვისგან მიიღო საჩუქრები და ძვირადღირებული მოგზაურობები. ამ მოგზაურობებში შედიოდა პოლარული ექსპედიცია, სათევზაო არდადეგები, საზეიმო ვახშამი და სამსაძინებლიანი აგარაკი.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ჟაკ როგესადმი გაგზავნილ წერილში ერინგერი ამტკიცებს, რომ პრინცმა კენჭისყრის წესები დაარღვია, როდესაც საჩუქრად მიიღო აგარაკი, რომელიც მის მთიან ფერმაში აშენდა. რუსეთმა სამუშაოების და სამშენებლო ხარჯები გადაიხადა – ამბობს იგი. ასეთი ექსტრავაგანტური საჩუქარი აჭარბებს ოლიმპიური კომიტეტის მითითებებს საჩუქრების შესახებ და ამიტომ პრინცს ხმა არ უნდა მიეცა 2014 წლის ოლიმპიური თამაშების სოჭში, რუსეთში ჩატარებისთვის, – ამტკიცებს ერინგერი.

ოლიმპიური კომიტეტისადმი კალიფორნიაში მიცემულ ჩვენებაში ის ამბობს, რომ პრინცის სადაზვერვო მრჩევლის სტატუსში (2002-2008 წლებიძ, მან იცოდა „მონაკოში ორგანიზებული რუსული კრიმინალისა და კორუმპირებული ჩინოვნიკების სულ უფრო მზარდი ინტერვენციის შესახებ“. ის ამტკიცებს, რომ პრინცის რამდენიმე თანამშრომელს საქმიანი ინტერესები აკავშირებდა „მაღალი თანამდებობის მქონე რუსებთან და ცალკეულ პიროვნებებთან, რომლებიც ეჭვმიტანილები იყვნენ რუსულ ორგანიზებულ კრიმინალურ წრეებთან კავშირში“.



ერინგერი სერგეი პუგაჩოვს „ვლადიმერ პუტინის ახლო წრის წარმომადგენელს“ უწოდებს. ის პრინც ალბერტთან საქმიან ურთიერთობებს ავითარებდა, რათა „ეყიდა მონაკოს მოქალაქეობა“.

◉ ინტერნეტიდან




## ადრიანო – ყველაზე უარესი

**იტალიური „რომას“ ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ადრიანომ მესამედ მოიგო „ოქროს ვედრო“, რომელსაც ანიჭებენ ფეხბურთში იტალიის ჩემპიონატის ყველაზე ცუდ მოთამაშეს.**

„გამარჯვებული“ ვლინდება გულშემატკივართა ხმის მიცემის შედეგების მიხედვით. ბრაზილიელმა ის უკვე მიიღო 2006 და 2007 წლებში; როდესაც გამოდიოდა მილანის „ინტერის“ რიგებში. ის აპენინებზე დაბრუნდა „ფლამენგოდან“ ამ სეზონის დასაწყისში, მაგრამ, „რომას“ შემადგენლობაში მინდორზე მხოლოდ სამჯერ გამოიყვანეს.

თავის გამოჩენაში 28 წლის ადრიანოს ხელი შეუშალეს ტრავმამ და მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ, „რომას“ შემადგენლობაში ფრანჩესკო ტოტის, მარკო ბორიელოსა და მირკო ვუჩინიჩს რომ ენდობა.

ივნისში ფორვარდი, ადრე ალკოჰოლის პრობლემა რომ ჰქონდა, „რომამ“ შეიძინა, თუმცა ორი თვის შემდეგ არენდით ბორიელოც ჩარიცხა გუნდში.

ამ „საპატიო“ კენჭისყრაში ადრიანომ „აჯობა“ „იუვენტუსის“ თავდამსხმელს ამაურისა და ნახევარმცველ რონალდინიოს „მილანიდან“.

## ფერმერები გაახარა

**ეს სათაური ნუ გაგიკვირდებათ, ადრე ხომ მხოლოდ იმაზე ვწერდით, თუ რომელმა ლამაზმანმა მოდელმა თუ მსახიობმა როგორ გაახარა სპორტსმენი და პირიქით. ახლა იმაზე უნდა შევაჩეროთ თქვენი ყურადღება, თუ ბულგარელმა ლამაზმანმა, „პლეიბოის“ ვარსკვლავმა ზლატკა დიმიტროვამ როგორ გაახარა სოფლის მეურნეობის მუშაკები – ფერმერები, საბრძოლო სამბოში მსოფლიო ჩემპიონის ბლაგოი ივანოვის ყოფილმა სატრფომ მონაწილეობა მიიღო სოფლის მეურნეობის ეროტიკულ კალენდარში პიკანტური ფოტოსესიით.**

ბულგარელი ფერმერების სოციალურმა ქსელმა გადადგა ძალზე მოულოდნელი ნაბიჯი, რათა მეტი ყურადღება მიეზიდა. „პლეიბოის“ ვარსკვლავის ეროტიკულმა ფოტოსესიამ უკვე მოიტანა შედეგი. ამ ლამაზ ქალიშვილს რომ უცქერენ, მათ მისამართსაც ეძებენ ინტერნეტში. რესურსქსელის დამფუძნებელი ბორისლავ ბორისოვი დარწმუნებულია, რომ „ეს ნაბიჯი დაეხმარებათ სულისკვეთების გაძლიერებაში და სოფლის მეურნეობის ახალი თვალით დანახვაში. თანაც უამრავი ყოველდღიური პრობლემის მოგვარებაში“.



## ინფორმაცია

### რუსთავის სკოლებში მანდატურები შევიდნენ

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა რუსთავის №21 საჯარო სკოლაში მანდატურთა სამკაციანი ჯგუფი წარადგინა.**

**რუსთავის №21 საჯარო სკოლის პარალელურად, მანდატურები №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8 და №9 სკოლებშიც შევიდნენ. ისინი ეტაპობრივად რუსთავის ყველა საჯარო სკოლას მოიცავენ.**

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის დიმიტრი შაშკინის განცხადებით, 2010 წლისთვის მანდატურების საჯარო სკოლებში შესვლის პროცესი დასრულებულია.

2011 წლიდან მანდატურთა ეტაპობრივი შესვლა საჯარო სკოლებში კვლავ გაგრძელდება.

სკოლებში უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მანდატურები ახალი სასწავლო წლიდან თბილისის, ბათუმის, ზუგდიდის, გორის, ქუთაისის და ფოთის საჯარო სკოლებში შევიდნენ.

### რატომ გაიზარდა ფასები ნავთობპროდუქტებზე?

**ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდას ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირი გამოეხმაურა. ამ თემასთან დაკავშირებით კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა სპეციალური პრესკონფერენცია გამართა.**

– ბოლო პერიოდში ნავთობის ფასები დინამიურად იზრდება და მაღალ ნიშნულს ინარჩუნებს. მიმდინარე წლის განმავლობაში ნავთობის ფასი მერყეობდა ძირითადად 70-78 დოლარის ფარგლებში. ოქტომბრის თვიდან კი ნავთობის ფასმა მატება დაიწყო და გაიზარდა 88-91 დოლარამდე ბარელზე. ნავთობის ეს ფასები არის ბოლო 2 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, – განაცხადა მთვრალაშვილმა.

როგორც მთვრალაშვილი განმარტავს, ნავთობის ფასების მატება განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით. მათ შორის, დოლარის დაცემა ევროსთან მიმართებაში; მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარების შესახებ პროგნოზები (ძირითადად ამერიკაში, ჩინეთსა და აზიურ ქვეყნებში); უპრეცედენტოდ ცივი ზამთარი ევროპაში, რომელმაც ნავთობის მოხმარების ზრდა გამოიწვია.



–ნავთობის ფასის ზრდასთან ერთად გაიზარდა ასევე საერთაშორისო ფასები ნავთობპროდუქტებზე, რომლითაც ხორციელდება საქართველოში საწვავის იმპორტი. სექტემბრის თვის შემდეგ ბენზინის საერთაშორისო ფასი გაზრდილია 20 პროცენტით – 684 დოლარიდან 818 დოლარამდე ტონაზე, ხოლო დიზელის ფასი მომატებულია 19.4 პროცენტით – 642 დოლარიდან 749 დოლარამდე ტონაზე. აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ ეს არის ფასები, რომლებსაც კომპანია იხდის უშუალოდ პროდუქციის შეძენისას ადგილზე, – აღნიშნავს მთვრალაშვილი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## რეტრო და დღევანდელობა

# საბალეტო ვნებანი



**ყველა დროში, ბალეტის მოცეკვავე ქალებში, შეძლებული მფარველის ყოლა არა თუ მოსარიდებელი, არამედ პრესტიჟულიც კი იყო. რაც შეეხება მამაკაცებს, მათ ბალერინები ყოველთვის იზიდავდნენ.**

XX საუკუნის ბალეტის ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავის **მატილდა ქშესინსკას** ყველაზე ცნობილი თაყვანისმცემელი რუსეთის მომავალი იმპერატორი ნიკოლოზ II იყო. როცა იგი ტახტზე ავიდა, ბალერინას ახალი მეურვე გაუჩნდა – დიდი თავადი სერგეი მიხეილის ძე, მის შემდგომ კი – დიდი თავადი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე და... მისი ვაჟიშვილი ანდრეი.

ერთ-ერთმა მათგანმა, ვისაც კალინინმა თვალი დაადგა, **ბელა უვაროვამ,** მამასახლისს „კასტინგში" მონაწილეობაზე სასტიკი უარი სტკიცა, მიუხედავად იმისა, რომ კალინინს ცდა არ დაუკლია. ერთ დღესაც, უვაროვას ცხედარი მოსკოვის შემოგარენში ნახეს, კალინინი კი ამ ამბის შემდეგ რიგგარეშე „შვებულებაში" გაუშვეს.

რაც შეეხება **ლავრენტი ბერიას,** რომელიც დროდადრო დიდ თეატრში შეივლიდა ხოლმე მოცეკვავეთა მოთელვის სანახავად, რამდენმა ბალერინამ „გაიარა" მის ხელში, ამის დათვლა, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

თუმცა, ხელისუფლებასთან



**ბიზნესმენ იგორ ვდოვინს ბალეტმა პირველი ქორწინება დაუნგრია**

ხელისუფლების სათავეში მოსულმა ბოლშევიკებმაც სიამოვნებით გადაიღეს „ბატონთა" ეს „მანკიერი ჩვევა". ბალეტისა და ბალერინების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თაყვანისმცემელი „საკავშირო მამასახლისი" **მიხეილ კალინინი** იყო. როგორც ამბობენ, იგი ქალიშვილებს თავის კაბინეტში იბარებდა და დელიშობილებს სამუშაო მაგიდაზე ფუეტეებს ატრიალებინებდა.

მარტო ბალერინები როდი „მეგობრობდნენ". მიუხედავად ბედნიერი ცოლქმრობისა, გალინა ბრეჟნევას საყვარელი ხუთი წლის განმავლობაში იყო ცნობილი მოცეკვავე მარის ლიეპა.

1970-იანი წლების მიწურულს – 1980-იანების დასაწყისში, ბალერინებით გატაცება პარტიულ ელიტაში მოდურად აღარ ითვლებოდა. სამაგიეროდ ისტებლიშმენტმა საბალეტო სკოლებში თავიანთი შვილებისა და შვილიშვილების მიბარება დაიწყო. მიხეილ გორბაჩოვის შვილიშვილი **ქსენია გორბაჩოვა** ათი წელი ყველაზე პრესტიჟულ საბალეტო სკოლაში სწავლობდა. „ბალერინა ჩემგან არ დადგა, სამაგიეროდ ახლა მტკივანი მუხლები და ართრიტი მაქვს", – ამბობს იგი.

სსრ კავშირის კომპარტიის გენერალური მდივნის **იური ანდროპოვის** შვილიშვილმა საბალეტო სასწავლებელი დაამთავრა, იგი დიდი თეატრის დასშიც მიიღეს, მაგრამ სახელის მოხვეჭა ვერ შეძლო, მერე გათხოვდა და საცხოვრებლად... ამერიკაში წავიდა, სადაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა.

ცნობილი პეტერბურგელი ბალერინას **ანასტასია ვოლოჩკოვას** თაყვანისმცემლები, მრავალ სხვასთან ერთად, ასევე იყვნენ მეცენატი **ანზორ აქსენტიევი** (კიკალიშვილი), ნავთობის მაგნატი **ვიაჩესლავ ლეიბმანი,** რომელიც ანასტასიამ **ქსენია სობჩაკს** წაართვა და მშენებელი მაგნატი **სერგეი პოლონსკი.** შერისხული ბიზნესმენი **მიხეილ ჟივილო,** ვიდრე „ცხენზე იყო შემჯდარი", ნასტიას უძვირფასეს საჩუქრებს ჩუქნიდა, ბიზნესმენმა **სულეიმან ქერიმოვმა** ვოლოჩკოვას გულისთვის მომღერალი **ნატალია ვეტლიცკაია** „დაითხოვა". მისმა ბოლო თაყვანისმცემელმა **იგორ ვდოვინმა** კი, ქერათმიანი ლამაზმანის გამო, ცოლი და სამი შვილი მიატოვა.

ასე რომ, ხელოვნება კია ხელოვნება, მაგრამ ბალეტის, უფრო სწორად, ბალერინების გამო, მუდამ ისეთი ვნებათაღელვაა, მრავალ დრამაშიც რომ ვერ ნახავს კაცი.

მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძე**

## მკითხველმა ლექსი შემოგვაჩვია

### მეცნიერი

არის ნეტავ სხვა, ამქვეყნად,
კაცი უფრო ბედნიერი,
ვიდრე მართლაც ჭეშმარიტი
და ნამდვილი მეცნიერი?
მორჩილი და თავმდაბალი,
თანაც ზრდილი, წესიერი,
განათლებით მაღლა მდგომი,
მომთმენი და თვინიერი.
არის ვინმე უფრო მეტად
დალოცვილი, ღვთისნიერი,
ვიდრე მართლაც რჩეული და
თანაც დიდი მეცნიერი?
თანამდგომი, თანასწორი,
კეთილი და ლმობიერი,
ყოველთვის და ყველას
მიმართ
გამგები და ზომიერი.
არის ვინმე უფრო მეტად
ყოვლისშემძლე, ღონიერი,
ვიდრე მირონცხებული და
სულით წმინდა მეცნიერი?
ბევრის მომსწრე, ბევრის
მცოდნე,
ყოველმხრივად ნიჭიერი,
ცოდნის სკივრის
თვითმპყრობელი,
აზრიანი, გონიერი.
გამორჩევით არის ცხადლივ,
ის ქვეყანა მშვენიერი,
ვისაც რომ ჰყავს ძალზე
ბევრი
გულმხურვალე მეცნიერი.
და, არ მგონი იყოს მშვიდად
თავმომწონე ჩვენი ერი,
როცა მშიერ-მწყურვალია
თითქმის ყველა მეცნიერი.

### შენი ნაზი ხელები

როცა გხედავ და გიყურებ, შენს ხელს ვავლებ მზერას,
გული შენკენ მომიწევს და ვამჩნევ შენც რომ მზვერავ.
ნეტავ, რას შევადარო, შენი ხელის მძივი,
საიდანაც მთლად მაბრუებს მოტყორცნილი სხივი.
ის მაგონებს ყურძნის მტევანს, რქაზე ჩამობნეულს,
სილამაზით რომ ამშვენებს ზე აზიდულ სხეულს.
შენი ხელის მტევანზე, ჩამოქნილა თითები,
და ჩემს გულს თუ დაიპყრობს რაღად მინდა მზითვები.
ბროლის თითებს შევცქერი და მონად ვარ ქცეული,
ეს რა ძალა ჰქონიათ, ძალა მართლაც გრძნეული.

**ომარ ქეშელაშვილი**

## კარიკატურისტის თვალით







**საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადამზიდავთა ასოციაცია „GIRCA"-ს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ტრანსპორტის სამინისტროს ყოფილი მუშაკი, შესანიშნავი ადამიანი, ღირსეული და კეთილშობილი პიროვნება**

**გელა ლომიძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 13, 14 XII, მისამართი: დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა, კორპ. 21, სადარბაზო III, სართ. II. გამოსვენება 16 XII, 14 სთ. სოფ. სართიჭალა, ახალშენის ქუჩა.**

---

**საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ყოფილი თანამშრომლის**

**ცისანა ქავთარაძის**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---



**აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მუზეუმის ღვაწლმოსილი მეცნიერ-მუშაკი**

**ევტიხ სამხარაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

## გამოიწერეთ!

# ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა

### რომელიც 1918 წლიდან გამოდის

ჩვენ კვირაში ხუთჯერ გამოვდივართ, კვირისა და ორშაბათის გარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში მკითხველს მარტო ჩვენი გაზეთის საშუალებით შეუძლია, სრულად მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, გაეცნოს აგრეთვე ამ მოვლენების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.



გაზეთის რედაქცია შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და კვლავაც შეეცდება, რომ ჩვენი გაზეთის „სუფრაზე“ ყოველგვარი გემოვნების მკითხველმა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობის „მადა“.

ამ თვალსაზრისით ჩვენ მუდამ ვიყავით და მომავალშიც დავრჩებით ყველაზე სანდო, ჭეშმარიტ სახალხო გაზეთად, რომლის ფურცლებიდანაც თვითონ ხალხი ლაპარაკობს თავის გულისნადებს.

ვისაც უნდა, რომ მომავალი წლიდან ფოსტამ ყოველ სისხამ დილით „საქართველოს რესპუბლიკის“ ცხელ-ცხელი ნომერი მიაწოდოს, შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე“ – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე“ – 93-38-75; „პრესექსპრესი“ – 96-23-11; „ელვასერვისი“ – 38-80-02; „ჯეომედია“ – 95-51-70; „საქპრესა“ – 51-59-05; „საქპრესა+“ 51-57-43; „ინფო“-2007 – 34-11-40; „პრეს+“ 14-23-97.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7653 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3346 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7594 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.6267 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## იყიდება სასწრაფოდ!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ
ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● 1930 წელს ქალებმა პირველად მიიღეს უფლება, გამხდარიყვნენ პილოტები, მაგრამ საამისოდ ქალს უნდა ჰქონოდა მედდის პროფესია, წონით არ უნდა ყოფილიყო 115 გირვანქაზე მეტი და გათხოვილი.

● 1666 წელს მთლიანად დაიწვა ლონდონი, მაგრამ ეს ტრაგედია ლონდონელთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას წაადგა, რადგანაც ახლადაშენებულ ქალაქში ანტისანიტარია აღმოიფხვრა.

● ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე მილიონიანი ქალაქია კოლუმბიის დედაქალაქი ბოგოტა (2650 მ), მეორე ადგილზეა მექსიკის დედაქალაქი მეხიკო (2200 მ).

● ბიზანტიელები შესანიშნავად იცნობდნენ ალთაის მხარესა და ალათაუს – მას ოქროს მთას უწოდებდნენ.

● ჰოლანდიური გულდენი სანკტ-პეტერბურგის მეტროში შეიძლება ჟეტონის ნაცვლად გამოიყენოთ.

● მონტანაში თავმოყრილი შვიდი ინდიელი საზოგადოებისთვის საშიშ ჯგუფად ითვლება და ნებადართულია, გაუფრთხილებლად გაუხსნან ცეცხლი.

● ავსტრალიის სახელმწიფო გერბზე კენგურუ და ემუ გამოსახეს არა იმიტომ, რომ ამ კონტინენტის ენდემური ცხოველები არიან, არამედ იმიტომაც, რომ უკან სვლა არ შეუძლიათ.

● პირველ სიამის ტყუპს ჩანგი და ენგი ერქვათ, რაც ტაის ენაზე მარცხენასა და მარჯვენას ნიშნავს.

● სამკუთხა მარკები პირველად XIX საუკუნის 60-იან წლებში ინგლისის კოლონიაში, სამხრეთ აფრიკაში შემოიღეს, რომ ფოსტალიონებს გაერჩიათ ადგილობრივი წერილები მეტროპოლიის კორესპონდენციისგან.

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 – +10 |
| ქუთაისი. | +10 – +12 |
| ბათუმი. | +10 – +15 |
| ზუგდიდი. | +8 – +13 |
| თელავი. | +2 – +9 |

## დღის კალენდარი

### 15 დეკემბერი

ხსენება ამბაკოსი (VI ს. ქრ.შობამდეძ; წმიდა მამისა ჩვენისა ისე წილკნელ ეპისკოპოსისა – ათცამეტ სირიელ მამათაგანისა (VIძ, მოწამე მიროპიასი (დაახლ. 251ძ. ღირსი იოანესი, ირაკლემონისა, ანდრიასი და თეოფილესი (IVძ.



ამოდის 07.21
ჩადის 16.31



ამოდის 12.30
ჩადის 07.18

### დაიბადნენ:

**1734 – ჯორჯ რომნი,** ინგლისელი მხატვარი. გარდაიცვალა 1802 წელს.

**1832 – გუსტავ ეიფელი,** ფრანგი ინჟინერ-მშენებელი. ეიფელის კოშკის ავტორი. გარდაიცვალა 1923 წელს.

**1852 – ანრი ანტუან ბეკერელი,** ფრანგი ფიზიკოსი. გარდაიცვალა 1908 წელს.

**1924 – ანა კალანდაძე,** პოეტი-აკადემიკოსი. გარდაიცვალა 2008 წელს.

**1930 – ნოდარ მამისაშვილი,** კომპოზიტორი, თეორეტიკოსი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

### გარდაიცვალნენ:

**1897 – ალფონს დოდე,** ფრანგი მწერალი.

**1921 – შარლ კამილ სენ-სანსი,** ფრანგი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი.

**1958 – ვოლფგანგ პაული,** შვეიცარიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**1966 – უოლტ დისნეი,** ამერიკელი მულტიპლიკატორი.

### მოვლენები:

**1791 წელი** – აშშ-ში ამოქმედდა ბილი უფლებათა შესახებ.

**1948 წელი** – ფრედერიკ ჟოლიო-კიურის ხელმძღვანელობით ამუშავდა პირველი ფრანგული ატომური რეაქტორი.

**1989 წელი** – რუმინეთში რევოლუცია დაიწყო.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**მალაიზია** – სულთნის დღე.

**ჰოლანდიის ანტილიის კუნძულები** – სამეფოს დღე.

მედიანიუსი

## შ ე ვ ი ძ ე ნ

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს.
855-42-05-82.

## კადრი



## ანეკდოტები

– როცა ჩვენმა მეზობელმა ავეჯი გამოიცვალა, ჩვენც ახალი გარნიტური შევიძინეთ, – ეუბნება ქმარი ცოლს. – მოიტანა თუ არა მან სახლში ახალი ფერადი ტელევიზორი, მეც მაშინვე იგივე გამაკეთებინე. არაფერს ვამბობ მანქანაზე! ახლა როგორ მოვიქცეთ?

– რაო, მასთან ისევ რაიმე სიახლეა?

– კი, ახალი ცოლი ჰყავს.



* * *

თქვენი სიდედრი და საგადასახადოს ინსპექტორი ცეცხლმოდებულ სახლში არიან ჩარჩენილი. თქვენ გაქვთ მხოლოდ ერთი მათგანის გადარჩენის საშუალება. რას აირჩევდით: კინოფილმის ნახვას თუ სადილობას?

* * *

– ვინმეს უკვე წაუკითხეთ თქვენი ლექსები? – ეკითხება რედაქტორი დამწყებ პოეტს.

– არა, რატომ მეკითხებით?

– უბრალოდ თვალი გაქვთ ჩალურჯებული და...

* * *

– რატომ ყიოდა თქვენი მამალი წუხელ ასე ჩახრინწული ხმით? – ეკითხება მეზობელი მეზობელს.

– გუშინ ზამთრის დროზე გადავიყვანე და იმიტომ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.